საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 ივნისი, 2008 წელი.

№ 112 (5970)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოვური სიფიცხეა, ცუდილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკაცრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

რას ნიშნავს აფხაზეთის

განსაკუთრებული სტატუსი?

5-8

ლადო პაპავა:

თუ აფხაზეთის ანექსიას დასავლეთის მხრიდან სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი დაემუქრა, კრემლი აფხაზეთის მიმართ წარმოებულ პოლიტიკას შეცვლის

4

პარლამენტიდან წასული გურჯანაძე ახლა ფონდს ქმნის

4

ჯიმი ჯალიაშვილი: რა დემოკრატიული გარდაქმნებიც არ უნდა განახორციელოს მედვედევმა, ის ყოველთვის ეროვნული ინტერესებით იქნება გამსჭვალული

2

ატლანტიკური საბჭო – სოხუმში

10

შეიძინე ახალი თაობის ტელევიზორი და უყურე ევროპის ჩემპიონატს სრულიად ფერებში!

SONY SAMSUNG SUPRA Panasonic SANYO LG TOSHIBA SUPER GENERAL

EURO2008 Austria-Switzerland

ტელ: 98-78-04
94-11-20, 92-18-21

◎ პარლამენტი

პავლე კუბლაშვილი უდისციპლინოდ იქცევა

ახალი მოწვევის პარლამენტში პარლამენტის თავმჯდომარის დავით გაძრაძის პირველი შენიშვნა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა დაიმსახურა.

პავლე კუბლაშვილი პარლამენტის თავმჯდომარის მოწოდების შემდეგ მიკროფონთანდაგვიანებით მივიდა, რაც გაძრაძემ იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ტრადიციულ უდისციპლინოდ შეაფასა.

პავლე კუბლაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეს უპასუხა, რომ წინა მოწვევის იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე მასზე უფრო დისციპლინირებული იყო.

იზრდება ვიცე-პრემიერთა რაოდენობა

საქართველოს პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მთავრობის მიერ ინიცირებულ პროექტზე იმსჯელებს, რომლის მიხედვითაც მთავრობის შემადგენლობაში ვიცე-პრემიერების რაოდენობა იზრდება. პარლამენტმა მეორე მოსმენით განიხილა „პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილებების შეტანის საკითხი. ცვლილების მიხედვით ფრაქციის შექმნისათვის საჭირო რაოდენობა შვიდიდან ექვსამდე დაიწევს.

იზრდება ვიცე-სპიკერებისა და კომიტეტების რაოდენობა და კომიტეტის თავმჯდომარეს ორის ნაცვლად სამი მოადგილე ეყოლება, საიდანაც ერთის წარდგენა ოპოზიციის წარმომადგენლებს შეეძლებათ. შემოდის კომიტეტის პირველი მოადგილის თანამდებობაც.



პარლამენტის ფრაქციების გარეთ მყოფ შვიდ დეპუტატს ფრაქციის შექმნა შეუძლია

საქართველოს პარლამენტის ფრაქციების გარეთ მყოფ დეპუტატთა მინიმალური რაოდენობა, რომელსაც ექნება ფრაქციის შესატყვისი უფლებები სარგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, პარლამენტის გადაწყვეტილებით, 7 წევრით განისაზღვრა.

საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი ითხოვდა, რომ ამ ჯგუფის რაოდენობა განსაზღვრულიყო 5 დეპუტატით, თუმცა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პალიკო კუბლაშვილმა განაცხადა, რომ ეს რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საკონსტიტუციო ნორმას და ეს ნორმა, ვინაიდან დღეს არის 7 დეპუტატი, ფრაქციის გარეთ მყოფ დეპუტატთა საორგანიზაციო ჯგუფისათვის განისაზღვრება მინიმუმ 7 დეპუტატით.

კუბლაშვილის ეს მოთხოვნა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით გაძრაძემაც გაიზიარა.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

◎ ექსპერტი

კონფლიქტურ რეგიონებში მდგომარეობა დღითი დღე მწვავდება და უკონტროლო ხდება. რუსული მხარე ძართველებთან შეუთანხმებლად აფხაზეთში ახალ გაზებს ხსნის, ცხინვალის რეგიონში კი მასობრივი დაბომბვები ხორციელდება. რამდენად შეიცვლება ურთიერთობა რუსეთ-საქართველოს შორის ახალი პრეზიდენტის ფონზე და როგორ პოლიტიკას აწარმოებს თავად სააკაშვილი? კითხვებს ექსპერტ-პოლიტოლოგი ჯიმი ჯალიაშვილი უპასუხებს.

– ბატონო ჯიმი, რამდენიმე დღის წინათ, ცხინვალიდან ქართული სოფლები დაიბომბა. ამბობენ, რომ ასეთი მასობრივი დაბომბვა დიდი ხნის მანძილზე არ მომხდარა ამ რეგიონში. როგორ ფიქრობთ, რისთვის გახდა საჭირო ეს მორიგი პროვოკაცია?

– 1990 წლიდან მოყოლებული, ცხინვალის მოსახლეობა, ჩვენი კეთილშობილური მიზნების მიუხედავად, ძალზე ძძიმე მდგომარეობაში ჩაყენებით. ორივე – აფხაზეთის და ე. წ. ოსეთის მიმართულებით ომის რისკ-ფაქტორები, ეტაპობრივად იზრდება. ეს გამწვავება კი, უპირველესად, იძაურ მოსახლეობას ეხება. ბოლო 15-17 წლის მანძილზე ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. ხელისუფლების მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დაჟინებულ პოლიტიკას მივესალმები, თუმცა რაიმე ლოგიკური ამოცანების გადაჭრისკენ სვლას, ვერ ვხედავ. ეს დაბომბვები შესაძლოა, აგრესიად ჩაითვალოს. მეორე მხრივ, ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ასეთი ძმედება აისხნება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის საძციელი, პასუხად იმ პოლიტიკაზე, რომელსაც საქართველო ახორციელებს. როგორც ჩანს, ეს არ არის სტრატეგიული პროგრამა.

სამწუხაროდ, ჯერ არ მომისმენია ექსპერტების მოსაზრება, რომლებიც განმარტავდნენ, თუ რა სტრატეგიული კურსი გვაქვს ცხინვალთან მიმართებაში, რა ფორმებით შეიძლება ამის გაკეთება და რამდენად ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის. ის რომ, ჩვენგან სიტუაციის დაძაბვას მათი მხრიდან დაბომბვა ერთვის, ან პირიქით, მათ მიერ დაბომბვას ჩვენი განცხადებები და მწვავე პასუხები მოსდევს, ეს ჩვეული ამბავია. ამის იქით, ფაქტობრივად, არაფერი ჩანს. ვფიქრობ, უფროსერიოზულ პრობლემებს უკავშირდება ცხინვალიც და აფხაზეთიც. მთავარი კვანძი იძარის გასახსნელი, თუ რა ინტერესები აქვთ უზარმაზარ ქვეყნებს, რუსეთსა და აშშ-ს კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ყველა კონფლიქტური ზონის ხელისუფლებამ უკვე გააფორმა ერთობლივი მოძმედების ხელშეკრულება. ვერ ვიტყვი, რომ ეს საქართველოს მიმართ რაიმე სამხედრო საფრთხეა და ჩვენი ძალები ვერ დაძლევენ, მაგრამ არის მეორე მხარე. ჩვენი გამოცდილება, როდესაც ვომობდით აფხაზეთთან, ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლებთან, რუსეთთან. ამიტომ საკითხი უფრო პოლიტიკურადაა გადასაწყვეტი, ვიდრე იარაღით.

– რუსეთმა სარკინიგზო სამხედრო დანაყოფები შეიყვანა აფხაზეთში, რის მიზეზადაც კრიტიკოსების მძმენელობას ასახელებენ. რა არის ამის მიზანი რეალურად?

– სამხედრო შენაერთების გადაადგილება შესაძლოა სხვადასხვა მისიას შეიცავდეს: ფარულს, სრულიად სხვა მიზნით ან სხვა შენაერთებით გადადგილებას. ამის კონტროლის რეალური შესაძლებლობა კი ჩვენ არ გვაქვს. შესაძლოა ეს, სარკინიგზო მშენებლობისთვის გათვალისწინებული კონტინგენტი იყოს, მაგრამ შესაძლოა იყვნენ საკმაოდ კარგი მებრძოლები და სამხედრო აქციის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ აფხაზეთის მხარეს. ამას, ვფიქრობ ხელისუფლების სწორი რეაგირება მოჰყვა. მაგრამ ამ ყოველდღიურ რიტაციაში სამშვიდობო ძალები არ ერევიან. ამ პროცესებს, რა თქმა უნდა, მოსკოვი აწესრიგებს. მაგრამ, მეჩვენება, რომ ჩვენი საერთო სტრატეგიული პოლიტიკა და, განსაკუთრებით საკუთარი სახელმწიფოს გეოპოლიტიკური როლის დანახვა ძალზე გუნდრუკიანია და, ამავდროულად, მარტივი, უალრესად ხისტი, რომელიც შემდეგ ფორმულირებით მასსაკმაოდ მგალი ხარისხის რეგიონები აქვს. ამას ხელი კოსოვომ შეუწყო. ახლა შესაძლოა, ეს ლუჟკოვმა ან „ვეტრომა“ გაახმოვანოს, დამუქრების სახითგამოიყენოს...

– ფართო ავტონომიის შესახებ პუტინმა დადებითი განწყობა გამოხატა და განაცხადა, დიალოგი უნდა დაიწყოსო. როგორ ფიქრობთ, ეს ერთგვარი პოლიტიკური თვალთმაქცობა იყო?

– რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, ხელისუფლების მოსაზრებას გამოხატავს – რომ ეს შესაძლებელია. დიპლომატიური ეთიკით. რუსეთის მხრიდან ეს ლამაზ ფორმას იღებს. თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი საკითხების განხილვა დროში ძალიან გაწელილია. გაფართოებული ავტონომიის პროექტზე, რა თქმა უნდა, უარს ამბობენ თავად დე ფაქტო ლიდერები. ამიტომ არის, რომ პუტინის ეს განცხადება აფხაზეთისა და ოსეთის ინტერესებს გამოხატავს.

ჯიმი ჯალიაშვილი: რა დემოკრატიული გარდაქმნებიც არ უნდა განახორციელოს მედვედევმა, ის ყოველთვის ეროვნული ინტერესებით იქნება გამსჭვალული

– ფიქრობთ, რომ არც ახალი პრეზიდენტის ფონზე შეიცვლება მოლაპარაკების ფორმატი? ან თავად სააკაშვილი როგორ ურთიერთობას წარმართავს რუსეთთან?

– ვიდრე ის პრეზიდენტი გახდებოდა, ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ უფრო დემოკრატიული იქნებოდა, მან რომ წინამორბედისგან განსხვავებით იცის კომპიუტერი, და ა. შ. შესაძლოა ის პუტინზე გაცილებით დემოკრატი იყოს, მაგრამ ის ამ დემოკრატიას ეროვნული ინტერესების შეკვეცის ხარჯზე, გუნებრივია, ვერ განახორციელებს. ის რუსების ინტერესებით იქნება დატვირთული. სტრატეგიული ხაზი და პოლიტიკა, რასაკვირველია, ძალაში რჩება. საფრანგეთში მან ერთი გამოსვლით ყველა ამ კითხვას მკაფიოდ გასცა პასუხი. რა დემოკრატიული გარდაქმნებიც არ უნდა განახორციელოს მედვედევმა, ის ყოველთვის ეროვნული ინტერესებით იქნება გამსჭვალული. დღემდე არსებულ საგარეო პოლიტიკას არც ერთი ნაბიჯით არ შეკვეცავს, და, მით უმეტეს, არ შეცვლის. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოსაც ეხება. ეს უნდა გავითვალისწინოთ.

– წინასაარჩევნო პერიოდში გამოითქვა მოსაზრება, რომ აფხაზეთის დაბრუნებას სამხედრო გზით შესაძლებელი იყო...

– ეს გამორიცხულია, სამხედრო სიძლიერის თვალსაზრისით ჩვენ აფხაზეთს ალვემატებით, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთის სამხედრო ძალასთან არა გვაძვს საქმე. ჩვენ სოხუმშიც ვიყავით და გაგრაშიც, მაგრამ აღარ ვართ. ჩვენ, სამწუხაროდ, დღეს სხვა გეოპოლიტიკურ გარემოში ვიმყოფებით. ამის ამოცანა კი ის არის, რომ პოლიტიკური პრობლემა იარაღის გარეშე გადაწყვიტოს და მაშინ სამხედრო მოქმედებას შესატყვისი გამართლება ექნება. თუ ჩვენ რუსეთს ვეომებით, მაშინ უნდა ვიგრძოლოთ ისეთ განდგომილ მხარეებთან, როგორებიცაა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. თუ ჩვენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ვეომებით, მაშინ უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის ომი რუსეთის წინააღმდეგ. ამ ფორმულაში მოსაძებნია რალაც ნორმალური ალგორითმი.

– მოგავალში არის ომის საშიშროება?

– რა თქმა უნდა. ყველაზე საშიში ისაა, თუ ამას არარეგულირებადი ხასიათი მიეცა. ამ ეტაპზე, განდგომილ ტერიტორიებთან ხან მწვავდება სიტუაცია და ლამის იარალის ჟღარუნამდე მიდის ყველაფერი, ხანაც ცხრება. ასე, რა თქმა უნდა, დიდხანს გაძლება არ შეიძლება. თუ ამ სამკუთხედის ფარგლებში პოლიტიკური პრობლემა არ გადაიჭრა ისე, რომ ჩვენი ძვეყანა დამშვიდდეს, მანამდე იქნება ერთი და იგივე სცენარები.

– დაბოლოს, ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ფიქრობს, რომ ნატოში შესვლა საბოლოოდ დაგვაპარებინებს კონფლიქტურ რეგიონებს. როგორ ფიქრობთ, რამდენად უკავშირდება ნატოში შესვლა აფხაზეთის და ცხინვალის დაბრუნებას?

– ვითანხმები მათ პოზიციას. საქართველოს ნატოსკენ სვლის კვალობაზე სიტუაცია აუცილებლად დაიძაბება. მაპატიეთ ასეთი უტრირებისათვის, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ რუსეთი დაახლოებით კოსოვოსხელა იყოს. მაშინ რუსეთმა კაპიტულაცია უნდა გამოაცხადოს აშშ-სა და საერთოდ მთელი მსოფლიოს მიმართ და თქვას, ჩვენ არ გვინდა ვიყოთ დამოუკიდებელი ერიო, ან უნდა გადასახლდნენ... სხვაგვარად გამორიცხულია.

ნატოს დროის უახლეს თვალსაწიერ მონაკვეთში არანაირი შანსი არ აქვს ომი აწარმოოს რუსეთთან აფხაზეთის დაბრუნებისათვის. ღმერთმა დაგვიფაროს. თანაც, თუ ვინმე გაისრისება ამ გრძოლაში, ეს შესაძლოა ჩვენ ვიყოთ. ამიტომ ნატოს სამხედრო აქცია კი არ სჭირდება, არამედ საკუთარი პოლიტიკის ზურგის გამაგრება იარაღის ჟღარუნით. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ნატო და აშშ ძალიან კარგი, მოქნილი პოლიტიკით სარგებლობენ და იშვიათად რომ რაიმე პრობლემა მათ იარაღით გადაწყვიტონ, მაგრამ საქართველოში ეს ძალიან რთულია. მათ რუსეთი და ჩრდილო კავკასია ეტყობა კარგად არ იციან, ამიტომაც კმაყოფილდებიან მხოლოდ საპრეტესტო განცხადებებით. საქართველოს ისტორიაში 1918 წლიდან არაერთი ამგვარი განცხადება მოგვისმენია და მხურვალე მხარდაჭერასაც შეგვპირებია გერმანია, ინგლისი... თუმცა, როგორც კი, ჩრდილოეთით „აცივდებოდა“ ხოლმე, ისინი ერთმანეთს ასწრებდნენ საქართველოდან სწრაფად გაძცევას...

ესაუბრა
სოფიო გოგლიძე

SIC!

აზროვნებისა და ეროვნული იდენტურობის წინააღმდეგ მიმართული მორიგი დივერსია

გაზეთ „ყველა სიახლის“ 12-18 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული (SIC!) სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების ჯგუფის ხელმძღვანელის სიმონ ჯანაშიას ინტერვიუს ფრაგმენტი, რომელშიც ეს უკანასკნელი აცხადებს – არაქართველებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღები გამოცდების ჩაბარება უჭირთ და ამიტომაც იგი სკოლებში ჩატარებული ჩათვლით უნდა შეიცვალოსო. – ამ იდეას ჩვენს სამინისტროში ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები, საბოლოოდ ყველაფერი პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს – დასძენს ბ-ნი სიმონი.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ სიმონ ჯანაშიას ან გიგი თევზაძეს საკუთარი მოსაზრებები აქვთ და არც ისაა დასაჯერებელი, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში რაიმე საკითხზე შეიძლება განსხვავებული მოსაზრებები არსებობდეს – ეს ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ სხვაგან დაბადებული იდეების გამხმოვანებელნი თუ განხორციელების ინსტრუმენტები არიან და მეტი არაფერი. ხოლო ნაცპარლამენტის და მისი პოლიტიკური ნების იმედად ყოფნა რამდენად გვაძლევს დამშვიდების საფუძველს, ეს საზოგადოებამ თვითონ განსაჯოს.

როგორც ვხედავთ, მას შემდეგ, რაც ლოტოტრონების შემოქმედ კახა ლომაიას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე ეგზიტპოლების გამყალბებელი გია ნოდია ჩაენაცვლა, სამინისტროს ბრძოლამ ქართული ენისა და ლიტერატურის წინააღმდეგ ახალი ძალა და მასშტაბი შეიძინა. თუ ლომაია ანეკდოტურ და გონიერი ადამიანისათვის თავისმომძრელ ლოტოტრონს პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობით ხსნიდა (აკი დაამარცხა კიდევაც!ძ ფილოსოფოს ნოდიას ხელში სამინისტროს მიზანდასახულობა უფრო ღრმა და საფუძვლიანი არგუმენტით გამყარდა: ვინაიდან არაქართველ აბიტურიენტებს უჭირთ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღები გამოცდების ჩაბარება, დაე, ნურც ქართველები ისწავლიან მშობლიურ ენასა და ლიტერატურას!

ასე გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების განადგურების გეგმა, რომელმაც საკუთარ გზაზე უკვე დატოვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო სკოლებისა და საბაკალავრო პროგრამების ნანგრევები. ამ რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა სრულიად მახინჯი სისტემა ფუნქციადაკარგული სკოლით, აბუჩად აგდებული პედაგოგებით, ლოტოტრონით დანიშნული დირექტორებით, პოლიციის ძალით დასმული რექტორებით, ორიენტაციადაკარგული მოსწავლეებითა და სტუდენტებით, რომელთათვისაც სანუკვარ მიზნად ჯოჯოხეთად ქცეული სამშობლოდან გაქცევა იქცა...

„არცა კირჩხიბი მართლად ვალს, არც ძალლის კუდი განიმართების!

ჯერ კიდევ ხეირიანად არ იყო დასრულებული ერთპარტიული ისტებლიშმენტის, პოლიციისა და კრიმინალური სამყაროს მიერ ჩატარებული ერთობლივი სპეცოპერაცია, რომელსაც საპარლამენტო არჩევნები უწოდეს, რომ ნაცმოძრაობის იდეოლოგებს მოთმინება არ ეყოთ და ახალი ლაშქრობა გამოაცხადეს ეროვნული კულტურისა და თვითშეგნების საფუძვლების საფუძვლის – ქართული ენისა და ლიტერატურის, წინააღმდეგ და აქ ლაპარაკი რალაც სერტიფიკატებსა და რეიტინგებზე სხვა არაფერია, თუ არა ყოვლად აღმაშფოთებელი დემაგოგია!

როგორც ირკვევა, ეს „დამაგვირგვინებელი“ ღონისძიებაც ყოფილა ჩადებული იმ „სარეფორმო“ პროგრამაში, რომლის ბოლო ეტაპსაც ჯვარი უნდა დაესვა ეროვნული საბაკალავრო სისტემის არსებობისათვის. თუ არა სრული განადგურება ქართული სახელმწიფოებრიობის მთავარი ფუნდამენტისა – ენისა – სხვა რა შეიძლება იყოს ამგვარი შეუფარავი მტრობის მიზანი?

სადავო არ უნდა იყო, რომ ენა აზროვნების საფუძველია და აზროვნება მშობლიური ენის შესწავლის კვალდაკვალ ყალიბდება. აქედან გამომდინარე, ქართული ენა ჩვენთვის არა უბრალოდ სახელმწიფო, არამედ აზროვნების ენაცაა. თუ ადამიანს ბავშვობიდან დავუკარგავთ მშობლიური ენის სრულყოფილად შესწავლის მოტივაციას, მას, იმავდროულად, აზროვნების უნარსაც ვართმევთ. აზროვნების უნარს მოკლებული თაობები კი მხოლოდ მორჩილ, ადვილად სამართავ მასად იქცევიან და, ცხადია, ვერ შეძლებენ საკუთარი მომავლის შექმნას. ეს კი ქართველი ერის ისტორიის დასასრული იქნება.

„ქართული აკადემია“ მთელი კატეგორიულობით იმაღლებს ხმას ეროვნული იდენტურობისა და ზოგადად აზროვნების გასანადგურებლად მიმართული ამ მუხანათური და აგრესიული გეგმის წინააღმდეგ და მოუწოდებს მთელ ერს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, საკუთარი პროტესტი შეუერთოს მთელი საზოგადოების აღშფოთებას ისე, როგორც ეს მოხდა 1978 წლის 14 აპრილს.

კატეგორიულად ვაფრთხილებთ „თავისუფლების ინსტიტუტის“ მარიონეტ თევზაძე-ჯანაშია-ნოდიასა და მათს თანამზრახველებს, არ გაბედონ მისაღები გამოცდებიდან ქართული ენისა და ლიტერატურის ამოღებაზე ფიქრიც კი და ამით საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების მორიგი ხელყოფა.

ამასთანავე, დაბეჯითებით ვთხოვთ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, ნურავის გამოაყენებინებენ საკუთარ თავს ანტიქართული იდეების სარეალიზაციო ინსტრუმენტად და ნუ დაუჭაბავენ ქვეყანაში ისედაც დაჭაბულ და ფეთქებადსაშიშ ვითარებას.

„ქართული აკადემია“

განსჯა

***რესპუბლიკელები** საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აცხადებდნენ, გადამწყვეტი ბრძოლა საპარლამენტო არჩევნებიაო, ახლა კი ამბობენ, პარლამენტი არ არის პოლიტიკისთვის ერთადერთი ადგილი, დღეს საქართველოს პოლიტიკური ცენტრი საკანონმდებლო ორგანოს გარეთ არისო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამხელა პოლიტიკურ სპექტრში. ერთადერთი რესპუბლიკური პარტია აღმოჩნდა ისეთი, საკუთარ შეცდომებზე საჯაროდ ლაპარაკი რომ არ იუკადრისა და მომავალი სტრატეგიისა და ტაქტიკის გადახედვის შესახებ განაცხადა. სამომავლო ამოცანად რესპუბლიკელებმა პარტიის ორგანიზაციული მომზადება და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება დაისახეს. რატომღაც საზოგადოების ერთმა ნაწილმა რესპუბლიკელების მიერ საკუთარი შეცდომების გულახდილი აღიარება დადებითად არ შეაფასა.*

ვინც დიდი ხნით ჟუჩაში რჩება...

ლაპარაკობენ, რომ **გაერთიანებული ოპოზიცია** თავისივე განცხადებების მძევალი აღმოჩნდა – რაკი თქვეს, პარლამენტში არ შევალთო, სიამაყის გამო თავიანთი ნათქვამი უკან ვერა წაიღესო. მოგეხსენებათ, გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნული საბჭოდან გარიცხეს ის წევრები, რომლებმაც ახალი მოწვევის პარლამენტში შესვლის სურვილი გამოხატეს. ესენი არიან გია ცაგარეიშვილი, გია თორთლაძე, ჯონდი ბაღათურია და პაატა დავითაია. გია ცაგარეიშვილი ამბობს, რომ მას არ უნდა იმ ადამიანებს დაემსგავსოს, რომლებიც თითქმის ოცი წელია ჟუჩა-ჟუჩა დარბიან და აცხადებენ, რომ ისინი არიან ნამდვილი ხელისუფლება. ცხადია, ამ მეთოდმა ვერ გაამართლა. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, ამ ქვეყანაში ალტერნატიულმა პარლამენტმა გაამართლოს.

ექსპერტები ფიქრობენ, ოპოზიცია დიდ შეცდომას უშვებს, როცა საპარლამენტო მოლვაწეობაზე უარს ამბობს. ვინც დიდი ხნით ჟუჩაში რჩება, ვისაც ოფიციალურ ორგანოში ტრიბუნა არ აქვს, ის ძალა დროთა განმავლობაში ჯერ სუსტდება, შემდეგ მომხრეებს კარგავს, მერე კი საბოლოოდ მარცხდება. ასე იყო ეროვნული მოძრაობიდან მოყოლეული და დიდი ალბათობაა, რომ დღესაც ანალოგიური განმეორდება.

რაც უნდა დამალონ, დღითი დღე აშკარა ხდება, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში ჯანსაღი ვითარება აღარ არის. ერთმანეთს უპირისპირდებიან, ემიჯნებიან და ისეთ საკითხებზეც კი ვერ შეთანხმებულან, რასაც მათგან ხალხი მოითხოვდა – ერთიანობა და კონსოლიდაცია ვერ მოახერხეს.

ახალი სპიკერის მისამართით ამბობენ, რომ ახალი ცოცხი კარგად გვის, როგორც ჩანს, დავით ბაძრაძეს იმის გაკეთება სურს, რაც ვერ შეძლო ბურჯანაძემ. მას უნდა, რომ რაღაც კარგი ნაბიჯით დაიწყოს მოღვაწეობა, ეს თავისთავად უკვე კარგია. რაც შეეხება ბურჯანაძეს, ექსპერტები და პოლიტიკოსების ნაწილი არ გამორიცხავენ, რომ ბურჯანაძემ პოლიტიკური პარტია შექმნას. პარტიის შექმნამდე კი მან არასამთავრობო ორგანიზაცია დააფუძნა. იმასაც ლაპარაკობენ, შეიძლება ნინო ბურჯანაძემ ვაკეში იმაროს კენჭიო. რაკი საგანელიძემ და გამყრელიძემ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს და დეპუტატობაზე უარი თქვეს, ვაკეში და დიდუბეში ახალი მაჟორიტარული არჩევნები დაინიშნება. თუმცა, დავით გამყრელიძემ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში განაცხადა, ვაკის არჩევნებში ისევ მივილებ მონაწილეობასო.

– ცოტა არ არის, რომ კონტროლის პალატაზე თუ გენერალურ პროკურატურაზე ზემოქმედების საშუალება გეძლება და საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები გააქტიურდება, – აცხადებს ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი გიორგი თარგამაძე და სვამს კითხვას – რომელია უფრო გონივრული: პარლამენტარობაზე უარის თქმა და მიტინგზე დგომა, თუ დემოკრატიისთვის პარლამენტს შიგნითა ნაბიჯ-ნაბიჯ ბრძოლა? ამ კითხვაზე ოპოზიციური სპექტრის პასუხი არაერთგვაროვანია.

მზია გელენავა

ინფორმაცია

„ნუ იტანჯები, ჯონდი!“

ეროვნულ საბჭოში არ არიან ადამიანები, რომლებიც პარლამენტის მანდატზე უარის გამო დისკომფორტს განიცდიან.

ამის შესახებ ეროვნული საბჭოს წევრმა მამუკა კაციტაძემ დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას დღევანდელი განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

მისივე თქმით, არც ერთ მათგანს გადაწყვეტილება გაუაზრებლად არ მიუღია და, შესაბამისად, ყოველგვარი კითხვები ამ მხრივ გამორიცხულია.

საბჭოში არ ვიცნობ ადამიანს, რომელიც ნანობს ამ გადაწყვეტილებას. თუმცა, კარგად ვიცნობ ჯონდი ბაღათურიას, რომელიც ასეთი განცხადებებით საკუთარი თავის გამართლებას ცდილობს. მინდა ვთხოვო, რომ ნუ იტანჯება. საზოგადოებას შესწევს ძალა, ყველა ნაბიჯი სწორად შეაფასოს, – აღნიშნა კაციტაძემ.

მისივე თქმით, ოპოზიციას ექნება სტრატეგია, რომლითაც იმ მიზნების შესრულებას შეძლებს, რისთვისაც მთელი ამ ხნის განმავლობაში იბრძოდა.

ჯონდი ბაღათურიამ გუშინ შემდეგი შინაარსის განცხადება გააკეთა: მე შევეცდები, ხვალ საღამომდე ჩვენი მეგობრები გადავარწმუნო, რომ განცხადებები გაიწვიონ. იმათ გადარწმუნებას შევეცდები, ვინც ახლა ფიქრობს, რომ ეს შეცდომა იყო და სიტუაციის მძევალია.

ცისკარიშვილმა, ყველა თქვენი თავითაო...

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილის აზრით, ნებისმიერი „დაღვინებული“ პარტია შიგნით შექმნილ სიტუაციას გააანალიზებდა და არ შეეცდებოდა საკუთარი წარუმატებლობის მიზეზი საგამოძიებო ორგანოს მეშვეობით ეძებნა.

ამის შესახებ პეტრე ცისკარიშვილმა „ქართული დასის“ ლიდერის ჯონდი ბაღათურიას ინიციატივაზე განაცხადა, რომელიც პარლამენტში 5 იანვრის და 21 მაისის არჩევნების „გაყალბების“ გამოსაძიებლად საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს.

როგორც პეტრე ცისკარიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მოქმედი რეგლამენტით, კომისიის შექმნისათვის საკითხის ინიცირება შეუძლია ფრაქციას, უმრავლესობას და დეპუტატთა სრული შემადგენლობის მეოთხედს, ან პარლამენტის თავმჯდომარეს. შესაბამისად, ცალკეულ დეპუტატს ინდივიდუალურად ამ საკითხის დასმის უფლება კანონით მინიჭებული არ აქვს.

რაც შეეხება საკითხის პოლიტიკურ მხარეს, ცისკარიშვილი ამბობს, რომ ოპოზიციამ საკუთარი წარუმატებლობის დასადგენად ბლოკში არსებული პრობლემები უნდა გამოიკვლიოს.

მათ ზიზღსა და სიძულვილზე ააგეს წინასაარჩევნო კამპანია და აქედან გამომდინარე, მარცხიც განიცადეს, – განაცხადა ცისკარიშვილმა და დასძინა, რომ მიზეზები სწორედ აქ არის.

წერეთელს შამფური ეწვის და მვადი უმი რჩება

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიგი წერეთელი საგამოძიებო კომისიის შესახებ ჯონდი ბაღათურიასთან დიალოგს ჩვეულებრივს უწოდებს და მას აუცილებლადაც კი მიიჩნევს.

როგორც გიგი წერეთელმა განაცხადა, დიალოგი აუცილებელიც არის და უმრავლსობას სურვილი დიალოგის მზადყოფნაზე არა ერთხელ გამოუთქვამს.

წერეთელი ვარაუდობს, რომ კონსულტაციებზე ბაღათურიას უარს უმრავლესობიდან არც არავინ ეტყვის.

ზოგადად კომისიის შექმნაზე კი წერეთელი ამბობს, რომ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ არსებობს.

ჯერჯერობით ეს არის ერთი ოპოზიციონერის მოსაზრება და სურვილი, ხოლო როგორ მოხდება მისი რეალიზაცია, ეს შიდა კონსულტაციების საგანია, – აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა.

„ქართული დასის“ ლიდერი, დეპუტატი ჯონდი ბაღათურია საგამოძიებო კომისიის შექმნას 5 იანვრის და 21 მაისის არჩევნების გაყალბების და 7 ნოემბრის მოვლენების გამოძიების მიზნით ითხოვს.

ინტერპრესნიუსი

◎ კითხული კაცის აზრი

ლადო პაპავა: თუ აფხაზეთის ანექსიას დასავლეთის მხრიდან სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი დაემუქრა, კრემლი აფხაზეთის მიმართ წარმოებულ პოლიტიკას შეცვლის

***რუსეთის** მიერ აფხაზეთის ეკონომიკური ექსპანსიის საშიშ მასშტაბებზე, დასავლეთის სავარაუდო რეაგირებაზე აფხაზეთში კრემლის მიერ წარმოებულ აგრესიულ პოლიტიკაზე და იმაზე, რომ რუსეთი, ფაქტობრივად, არ ცვლის აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით პუტინის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას, „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავას ესაუბრა.*

— ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით რუსეთის მიერ აფხაზეთის ეკონომიკური ექსპანსიის მასშტაბების საშიშროებას?

— მიუხედავად იმისა, რომ ადრე რუსეთს აფხაზეთისათვის ეკონომიკური ბლოკადა ჰქონდა გამოცხადებული, აფხაზეთი რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირებული მაინც იყო. მოგეხსენებათ, აფხაზეთში ფულის მიმოქცევის საშუალებად რუსული რუბლი გამოიყენება. ხელფასები და პენსიები სწორედ რუსული რუბლით გაიცემა.

ახლა, როცა რუსეთმა აფხაზეთს სავაჭრო ემბარგო ოფიციალურად მოუხსნა, რუსეთის მთავრობამ აფხაზეთში აქტიური მოქმედება დაიწყო. აფხაზეთში რუსეთის მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა, პრაქტიკულად, იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების გაგრძელებაა, რომელიც მიზნად ამ ტერიტორიების სრულ ანექსიას ისახავს. რუსეთი აფხაზეთში თავის აგრესიულ პოლიტიკას ყველა მიმართულებით, წმინდა პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებით ახორციელებს.

— თბილისი მოსკოვისაგან პუტინის 16 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს. ნათელია, რომ რუსეთი ქართული მხარის ამ მოთხოვნის შესრულებას არ აპირებს, მაგრამ ის, რომ თბილისის მოთხოვნა აბსოლუტურად მართებულია, ესეც ფაქტია.

— ჩვენი პოზიცია ძალიან სწორია. ჩვენი მთავრობა ამ საკითხს ზოგადადაც აყენებს და რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლის კონტექსტშიც. ეს არის ერთადერთი სწორი მიდგომა და მე იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი დასავლელი მეგობრები ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთთან დაპირისპირებაში საქართველოს მარტო არ დატოვებენ.

— აფხაზეთში დღეისათვის წვრილ, საშუალო და მსხვილ ბიზნესს ძირითადად რუსეთიდან აფხაზეთში ჩასული რუსეთის მოქალაქეები წარმართავენ. სხვადასხვა მონაცემებით, აფხაზეთში „არავისი ქონება“ პრაქტიკულად აღარ დარჩა.

— დღეს ვინც აფხაზეთში ცხოვრობს, თითქმის ყველა რუსეთის მოქალაქეა, ასე რომ ახლა მათი გარჩევა ძნელი ხდება. ბიზნესი, რა თქმა უნდა, რუსულია.

პირველ რიგში მთავარია პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ეს ის თემაა, როცა ეკონომიკა არ არის მთავარი. პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მოსდევს ეკონომიკური ძმედებებიც. ქართული მხარის მოთხოვნა მაშინ გახდება რეალისტური და სიცოცხლის უნარიანი, როდესაც დასავლეთი რუსეთს აფხაზეთის ანექსიის შეწყვეტას აიძულებს.

— ქართველი პოლიტიკოსები აფხაზეთში ვითარების შეფასებისას ხშირად იყენებენ ტერმინს „ანექსიის მცდელობა“. ფაქტია, რომ ვითარება იმაზე რთულია, ვიდრე სიტყვათშეთანხმება „ანექსიის მცდელობა“. კრემლის გეგმების გათვალისწინებით პოლიტიკურად სწორი, გამართლებული და უპრიანი ხომ არ იქნებოდა თავად გველიარებინა, რომ აფხაზეთის ანექსია უკვე არის, ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკური ექსპანსიის მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, ამაზე მეტი რალა უნდა იყოს.

— ამის მერე, ღმერთმა დაიფაროს, არის რუსეთის სახელმწიფოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. თუმცა, მე მაინც მინდა ვიფიქრო, რომ რუსეთში გონიერება მოიძებნება და ასე არ მოხდება. ამ შემთხვევაში, ეკონომიკური ექსპანსიის მასშტაბებს ალბათ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

— ცხადია, რომ თავისივე ინტერესების გათვალისწინებით, რუსეთი ამ ნაბიჯს არ დგამს, მაგრამ რუსეთმა კიდეც რომ არ აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, აფხაზეთი ხომ ფაქტობრივად მის მიერ არის ანექსირებული.

— რუსეთს ურჩევნია აფხაზეთში იყოს გადაუწყვეტელი კონფლიქტი იმიტომ, რომ აფხაზეთში არსებული ვითარების შენარჩუნება მას საქართველოზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს.

რუსეთს ურჩევნია აფხაზეთი ჯერჯერობით არ აღიაროს. ასე რომ მოიქცეს, ყველა კარტები გაიხსნება და იგი თბილისზე ზემოქმედების ყველა მექანიზმს დაკარგავს.

— ბატონო ლადო, რა მოლოდინი შეიძლება გვქონდეს ივლისის ბოლოსთვის დაგეგმილი რუსეთ-ევროკავშირის სამიტისაგან იმ ფონზე, როცა ევროკავშირი აფხაზეთის კონფლიქტში აქტიურად ჩართვას ცდილობს?

— ევროკავშირი რაც უფრო მეტად ჩაერთვება ქართულ სინამდვილეში და კავკასიის რეგიონში, მით უკეთესი იქნება. მე ჯერჯერობით ვერ ვიტყოდი, რომ evროკავშირის ძმედებანი კავკასიაში იმ დონეზეა, რაც ამ რეგიონს სჭირდება. თუმცა იმის ილუზიაც არ უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ კონფლიქტებს ევროკავშირი უმოკლეს ვადებში გადაგვიწყვიტავს.

— ერთიცაა, ის რისი გაკეთებაც evროკავშირმა შეიძლება მოინდომოს აფხაზეთში ეკონომიკური პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, რუსეთი ამას აფხაზეთში, თბილისის გვერდის ავლით ისედაც აკეთებს.

— დასავლეთი ეკონომიკურ ბერკეტებს მნიშვნელოვან მექანიზმებად მიიჩნევს. აფხაზეთში რუსეთის მიერ წარმოებულ ეკონომიკურ ექსპანსიაზე დასავლეთის რეაქცია ძმედითი მაშინ იქნება, თუ დასავლეთი ამ საკითხის განხილვას სოჭის ოლიმპიადის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულებას დაუკავშირებს. ვგულისხმობ, სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადება-გამოუცხადებლობის თემას.

ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში უკვე იყო ასეთი ფაქტი. დასავლეთმა რუსეთის მიერ ავღანეთში ჯარების შეყვანას, მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტით უპასუხა.

თუ კრემლი დარწმუნდა იმაში, რომ აფხაზეთის ფაქტობრივ ანექსიას სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი დაემუქრა, მაშინ, შესაძლოა, რუსეთმა აფხაზეთის მიმართ წარმოებული პოლიტიკა შეცვალოს. თუ ასე მოხდა, მაშინ აფხაზეთში ძალიან ბევრი რამ მშვიდობიანად გადაწყდება.

კოგა გენდელიანი

◎ პოლიტიკურად შეფუთული მიზნები

პარლამენტიდან წასული გურჯანაძე ახლა ფონდს ქმნის

„საძართველოს პარლამენტის ექს-თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გამოსვლისას განაცხადა, რომ უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მოხდება მის მიერ დაფუძნებული ფონდის პრეზენტაცია, რომლის სახელწოდება იქნება „ფონდი დემოკრატიული განვითარებისათვის“.

— როდესაც ახლა გვერდიდან ვუყურებ პოლიტიკურ პროცესებს, გადავწყვიტე საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში იყოს ქვეყანაში არსებული პრობლემები ძალიან სიღრმისეული და დეტალური ანალიზი: რა განაპირობებს მას, რა არის ის, რაც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს და ჩვენს ქვეყანას სჭირდება და რა კონკრეტული მექანიზმებია საჭირო ამ ყველაფრის დასაძლევად, — განაცხადა გურჯანაძემ და აღნიშნა, რომ სწორედ ამ მიზანს მოემსახურება ფონდი, რომლის შექმნასაც აპირებს.

— ამ ფონდის მთავარი ამოცანა იქნება ის, რომ ძალიან მაღალ ექსპერტულ დონეზე გაკეთდეს ქვეყანაში არსებულ პრობლემატიკის სერიოზული შეფასებები და დაისახოს ამ პრობლემების გადაჭრის კონკრეტული გზები. ეს არ არის მხოლოდ ექსპერტული სამუშაო. ეს იქნება კონკრეტული

პოლიტიკური მოსაზრებები, რეცეპტები, შეხედულებები და მათი განხორციელების მცდელობები, — განაცხადა ბურჯანაძემ.

— ვფიქრობ, საინტერესოდ არის ფორმულირებული ფონდის მისია. ფონდი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქვეყანაში ეროვნული ინტერესების დაცვას, ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრებას; საჯარო და სამოქალაქო ინსტიტუტების გაძლიერებას, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პირობების შექმნას, — აღნიშნა ბურჯანაძემ და იქვე განაცხადა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია ყველა ეს პრიორიტეტი აუცილებლად განხორციელდეს.

მისივე თქმით, ფონდის მუშაობაში ჩაერთვებიან სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების ადამიანები.

— ვფიქრობ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა იყო ის, რომ სხვადასხვა ასაკისა და კომპეტენციის ადამიანები ჩამოშორებული იყვნენ პოლიტკურ პროცესებს. საქართველოში არის სერიოზული პოტენციალი, რომლის გამოყენებაც აუცილებელია, — განაცხადა ექს-პარლამენტის თავმჯდომარემ.

— ქართველი ხალხი ნამდვილად იმსახურებს დემოკრატიულ და განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრებას. მე ყველანაირად შევეცდები ამ პროცესებს ხელი შევუწყო, იქნება ეს ამ ფონდის საშუალებით, თუ სხვა პოლიტიკური აქტიურობებით, — განაცხადა ბურჯანაძემ.

რაც შეეხება იმ ადამიანთა ვინაობას, თუ ვინ იქნებიან მის გვერდით, ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ ამას ფონდის პრეზენტაციისას გააცხადებს.

„ფონდი ღიაა საზოგადოების ფართო წრისთვის, ასაკისა და სამუშაო ადგილების მიუხედავად. მთავარი კრიტერიუმია პროფესიონალიზმი და ქვეყნის სიყვარული. მოხარული ვიქნები, რაც მეტი ადამიანი გამოგვეხმაურება“, — განაცხადა ბურჯანაძემ და აღნიშნა, რომ უცხოელი ექსპერტების ჩართვა ერთ-ერთი კომპონენტი იქნება ამ ფონდში. მას უკვე ჰქონია კონსულტაციები, შეხვედრები და ძალიან ბევრი საერთაშორისო ფონდი დაინტერესებულა მისი ამ იდეით, ბევრი უცხოელი ექსპერტი და პოლიტოლოგი მზად არის ჩაერთოს ფონდის მუშაობაში.

შეგახსენებთ, რომ ნინო ბურჯანაძე საქართველოს ორი მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე იყო 2001-2003 და 2004-2008 წლებში. აქტიურ პოლიტიკას მიმდინარე წლის 21 აპრილს გამოეთიშა. ჯერ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობასა და მმართველი პარტიის სიით პარლამენტში შესვლას არ აპირებდა (არადა, მმართველი პარტიის სიის პირველი ნომერი იყო). ხელისუფლებისგან გამიჯვნის ძირითად მოტივად ბურჯანაძემ პარტიულ სიაზე ყოფილ თანაგუნდელებთან შეუთანხმებლობა დაასახელა. ბურჯანაძემ 21 მაისს, არჩევნების დღეს განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში გასცემდა პასუხს ყველა იმ კითხვას, რაც მისი მმართველი გუნდიდან მოულოდნელი წამოსვლის ირგვლივ გაჩნდა.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ინფორმაცია

ჩოჩიევს კვლავ ცხინვალზე თავდასხმა ესიზმრება

ცხინვალის სეპარტისტული ხელისუფლება საქართველოს კონფლიქტის ზონაში ახალი საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობასა და ცხინვალის დასაცხრილად ახალი პლაცდარმის მომზადებაში ადანაშაულებს.

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის მხარის თანათავმჯდომარე, კოკოითის მთავრობის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი აცხადებს, რომ ოსური მხარე აღნიშნული ნაგებობების მშენებლობის დასაფიქსირებლად კონფლიქტის ზონაში მდგარი სამშვიდობო ძალებისა და ეუთოს მისიის ერთობლივი მონიტორინგის ჩატარებას მოითხოვს.

— კონფლიქტის ზონის სოფელ ერგნეთთან ქართულმა მხარემ ახალი საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა დაიწყო. სანგრების სიგრძე 20 მეტრს აღწევს. აღნიშნული ნაგებობების გამოყენებას ქართული მხარე ცხინვალის დასაცხრილად პლაცდარმად გამოყენებას აპირებს, — აცხადებს ბორის ჩოჩიევი.

მისივე თქმით, აღნიშნული კარგადაა ცნობილი კონფლიქტის ზონაში მდგარი შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბისა და ეუთოს მისიისათვის, თუმცა მათი რეაგირება ყოველივე ამაზე ნულის ტოლია.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ სიმართლე კი ასეთია

რას ნიშნავს აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი?

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2008 წლის 16 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა წერილი ამ სათაურით, რომლის „შესავალში“ აღნიშნულია, რომ „პრეზიდენტმა სააკაშვილმა აფხაზებს გაფართოებული უფლებები შესთავაზა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათ მისცემს ვიცე-პრეზიდენტის პოსტს, ექნებათ ვეტოს უფლება აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას და, ასევე შეიქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა“. იქვე აგრეთვე აღნიშნულია, რომ, 2004 წელს, როცა „ვარდების მთავრობა“ ახალი მოსული იყო, ეს იდეა უკვე არსებობდა და პროექტს ერქვა, „კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“.

ამ პროექტს, ბუნებრივია, იცნობდა მიხეილ სააკაშვილი, თუმცა საჯაროდ ამაზე სიტყვა არ დაუძრავს.

დოკუმენტი მოამზადა ქართველ ექსპერტთა ჯგუფმა – კონსტანტინე კუბლაშვილმა, არჩილ გეგეშიძემ, ივლიანე ხაინდრავამ, პაატა ზაქარეიშვილმა. ამ დოკუმენტში შენიშვნები შეიტანეს თინათინ ხიდაშელმა, დავით დარჩიაშვილმა, დავით ბაქრაძემ, აგრეთვე უცხოელმა ექსპერტებმაც. საკვირველია, რომ ავტორებს შორის არ არიან აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების წარმომადგენლები“.

„კონცეფციის“ ავტორებს დიდი სამუშაო აქვთ ჩატარებული, მოხმობილია ფაქტები სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ვითარებიდან და გამოთქმული აქვთ მოსაზრებები აფხაზეთის შესაძლებელი სტატუსის შესახებ.

„კონცეფციის“ პროექტის ტექსტში რამდენჯერმეა მითითება „აფხაზეთის სუვერენიტეტზე“ და იქვე განმარტებულია რომ „აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისას საქმე გვექნება არა ცენტრიდან ადმინისტრაციულად ქვემდებარე ერთეულზე ფუნქციებისა და უფლებამოსილებების დელეგირებასთან (რაც დეცენტრალიზებული სახელმწიოსათვის არის დამახასიათებელი), არამედ სახელმწიფოს ორად გაყოფასთან“ (30)[1].

ამასთანავე აღნიშნულია, რომ „საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაშია სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეული აფხაზეთი, რომელიც უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში გამოდის თანასწორუფლებიანი და დამოუკიდებელ პარტნიორის სახით“ (32, ბ). დასკვნით ნაწილში მითითებულია, რომ აფხაზეთი იქნება „სუვერენული ტერიტორიული ერთეული“ საქართველოს შემადგენლობაში (75,4) [2].

ამავე „კონცეფციით“, თუ საქართველოში მიღებული იქნება მმართველობის საპრეზიდენტო ფორმა, აფხაზეთის „პრეზიდენტი შეიძლება იყოს მხოლოდ წარმოშობით აფხაზი“ (35).

„პროექტში“ ნათქვამია, „რაც შეეხება აფხაზეთს, აქ თავიდანვე ცხადი უნდა იყოს, რომ მას, როგორც ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამომყალიბებელი ერთ-ერთი ერის – აფხაზების ერთადერთ სამშობლოს ყველასაგან განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეს“ (26).

„კონცეფციის“ თანახმად „აფხაზეთის სტატუსის განსაკუთრებულობას საფუძვლად უნდა დაედოს ისიც, რომ ეთნიკურად აფხაზი განხილული იქნეს არა როგორც უმცირესობა, არამედ როგორც საქართველოს ფედერალური სახელმწიფო[3] ჩამომყალიბებელი ერთ-ერთი ერი – ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები ამ პოლიტიკური ერთეულის მკვიდრი ერია“ (37). აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები აფხაზეთის (ისევე როგორც მთელი დანარჩენი საქართველოს) არა მხოლოდ მკვიდრი, აბორიგენი ერია და საკუთრივ აფხაზეთში ყოველთვის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.

„კონცეფციის“ ავტორები მართებულად მიუთითებენ, რომ „ყოველი სახელმწიფოს ტერიტორიული მოდელის კონსტიტუციურ-სამართლებრივად განსაზღვრა მჭიდროდ არის დაკავშირებული და ეფუძნება ამ სახელმწიფოს ისტორიას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ განვითარებას“ (26).

გადავაველოთ თვალი აფხაზეთის ისტორიას.

აფხაზეთი ისეთივე ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, როგორც კახეთი, გურია, სამეგრელო... აფხაზი – აფხაზეთის მცხოვრებია. საკუთრივ აფხაზეთი მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და მისი საზღვარი ჩრდილოეთით კავკასიონის ქედის სამხრეთ ზოლამდე აღწევდა, ხოლო სამხრეთით მდ. გუმისთამდე (სოხუმთან).

ცნებამ „აფხაზეთი“ და შესაბამისად „აფხაზმა“ საუკუნეთა მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც დაკავშირებულია იმ რთულ მოვლენებთან, რასაც საქართველოში ჰქონდა ადგილი.

აფხაზეთი, როგორც წესი, შედიოდა ქართულ კულტურულ-ისტორიულ-სახელმწიფოებრივ სამყაროში, პროტოკოლხურ და კოლხურ (დასავლურქართულ) კულტურულ სამყაროში, კოლხეთის სამეფოში (ძვ.წ.ა. პირველი ათასწლეულიძ, ეგრისის (ლაზიკისძ სამეფოში (მე-2, მე-7 ს.ს.ძ, როგორც ერთ-ერთი საერისთავო, დასავლურქართულ სახელმწიფო აფხაზთა სამეფოში (მე-8-მე-10 ს.ს.ძ, აგრეთვე როგორც ერთ-ერთი საერისთავო და ასევე ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარძიაში, საქართველოში (მე-10 ს. ბოლო მე-15 ს.ს ბოლოძ, აგრეთვე, როგორც ერთ-ერთი საერისთავო მის უძველეს საზღვრებში.

მე-8 და მე-10 საუკუნეებში არსებულ დასავლურქართულ სახელმწიფოს, რომელიც მოიცავდა მთლიანად დასავლეთ საქართველოს კავკასიონის ქედიდან მდ.ჭოროხის ხეობამდე და შავი ზღვიდან ლიხის (სურამისძ ქედამდე, „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა, რადგან მისი პირველი მეფე ლეონ მეორე, რომელმაც ეს ერთიანი დასავლურქართული სამთავრო (ეგრისი და აფხაზეთიძ მემკვიდრეობით მიიღო, საკუთრივ აფხაზეთიდან იყო. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, აფხაზთა მეფეების წარმოშობის შესახებ, ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ისინი წარმოშობით ბერძნები იყვნენ, რადგან მათ წინაპარ აფხაზთა ერისთავებს ბიზანტიის იმპერატორი ამტკიცებდა, ზოგის აზრით, ისინი ქართველები იყვნენ, ზოგი კი მათ არაქართველ აფხაზებად მიიჩნევს. დღეს არსებული წყაროთმცოდნეობითი ბაზის პირობებში ამ კითხვაზე ერთნიშნა პასუხის გაცემა ვერ ხერხდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიისთვის მთავარია ვინ იყვნენ ისინი ეროვნული თვითშეგნებით, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით.

აფხაზთა მეფეებმა, ბიზანტიისგან დამოუკიდებლობის მოპოვებისა და „მეფის“ ტიტულის მიღებისთანავე (მე-8 ს. ბოლოძ სამეფოს დედაქალაქად ძველი ქართული ქალაქი, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი ქუთაისი გამოაცხადა.

აფხაზთა მეფეებმა თანდათან გააუქმეს დასავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში არსებული ბერძნული საეპისკოპოსოები და მათ მაგიერ ქართული საეპისკოპოსოები დააარსეს. აფხაზეთი ეკლესიურად გამყვეს კონსტანტინეპოლის საპატრიარძოდან და მთლიანად დასავლეთ საქართველოს ეკლესია საბოლოოდ მცხეთის ტახტს დაუქვემდებარეს, ამ დიდ ეროვნულ საქმეში აფხაზთა მეფეებს მხარში ქართული ეკლესია, მცხეთის საკათალიკოსო ედგა. აფხაზთა სამეფოში, მეფეთა მხარდაჭერით, მათ კარზე იძმნებოდა ქართული აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული თხზულებები, ქართულ ენაზე იწერებოდა აფხაზთა ერისთავთა და მეფეთა „ძრონიკა“, სამეფოში იგებოდა ქართული არქიტექტურის ძეგლები... აფხაზთა სამეფო ტერიტორიით, კულტურით, ენით, ეკლესიით ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო აფხაზთა მეფეები ეროვნული თვითშეგნებით, ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ.

ამდროინდელი „აფხაზეთი“ მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, თუმცა შენარჩუნებული იყო მისი ვიწრო მნიშვნელობაც, საკუთრივ მისი ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის, აფხაზთა საერისთავოს მიმართ.

აფხაზთა სამეფო რომ ქართული სახელმწიფო იყო, ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა მეზობლებმა. მე-10 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, იოანე კათალიკოსი მას ეგრისს, მის მოსახლეობას ეგრეებს და მეფეს ეგრეების მეფეს უწოდებს.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, თუ ვინ იყვნენ ეთნიკურად ახ.წ. მე-2 საუკუნიდან ბერძნულ წყაროებში დასავლეთ საქართველოში მოხსენიებული აბაზგები (ქართული შუასაუკუნოვანი წყაროების აფხაზებიძ და როდიდან მოსახლეობდნენ ისინი აძ. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ისინი ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც მათ ირგვლივ მცხოვრები ეგრები, სვანები... ნაწილი – რომ ისინი ჩრდილოკავკასიური ადიღური მოდგმისანი იყვნენ და აქ ახ.წ.ა. მე-2 საუკუნეში ჩამოსახლდნენ, რომლებიც დასავლეთ საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა თავდასხმა-ჩამოსახლების ერთი ეტაპი მიმდინარეობდა. ზოგი მკვლევარი კი თვლის, რომ ისინი უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ აქ, მაგრამ ბერძნულ წყაროებში იმ დროიდან ჩნდებიან, როდესაც აბაზგები მათ ინტერესთა სფეროში შედიან.

აფხაზთა მეფენი აქტიურად მონაწილეობდნენ მე-8 და მე-10 საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

978 წელს, როდესაც ქუთაისში მეფედ აკურთხეს ერთიანი შუასაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოს, საქართველოს პირველი მეფე, მამის ხაზით ბაგრატიონთა ქართველთა სამეფოს, ხოლო დედის ხაზით დასავლურქართული სახელმწიფოს აფხაზთა სამეფო სახლის კანონიერი მემკვიდრე ბაგრატ მესამე (975/8-1014ძ, პირველი ოფიციალური ტიტული, რომელიც მან მიიღო იყო „მეფე აფხაზთა“, ე.ი. დასავლეთ საქართველოს მეფე. მე-11 საუკუნის დასაწყისში, როდესაც გარდაიცვალა მისი წინაპარი ქართველთა მეფე, მან მიიღო „ქართველთა მეფის“ ტიტული, ხოლო კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ (1008-1010 წ.წ.ძ „კახთა და ჰერთა მეფის“ ტიტული. ეს ტიტულატურა ქართული ქვეყნების გაერთიანების პროცესს ასახავს და ასე დარჩა ის ბოლომდე ქართველ მეფეთა ტიტულატურაში. მასში პირველ ადგილზე „მეფე აფხაზთა“ იმიტომაა, რომ ეს იყო ბაგრატ ბაგრატიონის მიერ მიღებული პირველი ოფიციალური ტიტული და არა იმიტომ, რომ აფხაზებს (ქართველებს თუ არაქართველებსძ რაღაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართული სახელმწიფოს შექმნაში.

რადგან საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე იყო „მეფე აფხაზთა“, ზოგი უცხოური წერილობითი წყარო და ზოგჯერ ქართული წერილობითი წყაროც, საქართველოს „აფხაზთა მეფედ“, ხოლო საქართველოს „აფხაზეთად“ მოიხსენიებდნენ. მაგრამ ჩვენმა ახლო თუ შორეულმა მეზობლებმა კარგად იცოდნენ, რომ „აფხაზეთი“ საქართველოა და „აფხაზი“ ქართველია. მაგ. ბერძნული (ბიზანტიურიძ წერილობითი წყაროებისათვის „აფხაზეთი“ და „იბერია“ იდენტური ცნებებია, იდენტური ცნებებია „ძურჯი“ (ე.ი. ქართველიძ და „აფხაზი“ არაბებისა და სპარსელებისათვის, რუსულ მატიანეში კი პირდაპირ წერია, რომ „ავერ“ (იბერიძ იგივე „ოგეზია“ (აფხაზიძ.

იხ. 8 გვ.

◎ ინფორმაცია

ნატოს გასვლითი სხდომა თბილისში

ნატოს გასვლითი სხდომა სექტემბერში თბილისში გაიმართება. როგორც „იტარ-ტასი“ იუწყება, ამის შესახებ ალიანსის გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოფ სხეფერმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ეკა ტყეშელაშვილთან შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა.

ეკა ტყეშელაშვილი ბრიუსელში ორი დღის წინათ გაემგზავრა. მან გამგზავრების წინ განაცხადა, რომ შეხვედრებისა და ნატოს საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას ქვეყანაში არსებული ვითარება, მათ შორის აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაცია განიხილება.

ბრიუსელში ვიზიტის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ნატოსა და ევროკავშირის ხელმძღვანელობას და ალიანსის წევრი ქვეყნების ელჩებს შეხვდება.

ინტერპრესნიუსი

ალოგბა-2008

მოსავლის მახოლაც კარგი ჰარი ყჩანს

ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ორგანიზებულად და უდანაკარგოდ აღება-დაბინავება

გაზაფხულის დასაწყისიდან მსოფლიო ბაზარზე მარცვლეულისა და კერძოდ, ხორბლის ფასი კატასტროფულად მატულობდა. შარშანდელმა არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა მოსავალიც საგრძნობლად შეამცირა, დეფიციტმა კი პურეულზე მოთხოვნაც კიდევ უფრო გაზარდა და ფასიც. მთელმა რიგმა ექსპორტიორმა ქვეყნებმა, მათ შორის ყაზახეთმა, შემდგომ კი რუსეთმაც, ახალი მოსავლის აღებამდე ექსპორტი შეაჩერეს, შემდგომ კი ისევ დაუშვეს.

ქართველი ექსპერტები ხორბალთან დაკავშირებით სხვანაირ დასკვნას აკეთებენ, მაგრამ ყველა ვარაუდობდა, რომ ამ მხრივ ჩვენს ქვეყანას სიძნელეები შეექმნებოდა.

და აი, ალოგბაც მოვიდა. კახეთში ყველა, დიდი და პატარა, პურეულის ყანებშია გასული.

ხორბლის სავარაუდო ფასი ცნობილია – იგი 15 თეთრით მოიმატებს და ალბათ 50 თეთრი ეღირება. მოსავალს მთლიანად ადგილობრივი წისქვილკომბინატები შეიძენენ და ქვეყნის შიდა ბაზარზე გაიტანენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში ფიქრობენ, რომ ქართული ხორბლის რეალიზაციასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეექმნება, რადგან მსოფლიო ბაზარზე ამ პროდუქტის ფასი საკმაოდ მაღალია.

ალაზნის ველზე ალოგბის დაწყებას სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი დაესწრო.

– მოსავალი საკმაოდ მაღალია, – თქვა მინისტრმა, – მართალია, წელს სოფელს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით დავეხმარეთ, მაგრამ ამინდებმაც შეუწყო ხელი, სეტყვა არ ყოფილა. ასე რომ, ახლა მოსავალს ვიმკით. მომავლისათვის ეს დახმარება კიდევ უფრო გაიზრდება. მთავარია, თესლი საუკეთესო იყოს. ვფიქრობ, რომ ჩვენს მეწარმეებს და გლეხებს ხორბლის გაყიდვა არ გაუძნელდებათ, ფასი ორივე მხარისთვის მისაღები იქნება, რასაც ბაზარი თავად დაარეგულირებს, სამინისტრო ფასის განსაზღვრაში არ ჩაერევა.

ხორბალი ძირითადად ალაზნის ველზე და შირაქშია დათესილი.

ალოგბა ჯერ კახეთში ჩატარდება, შემდეგ კი – სხვა რეგიონებში.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მეწარმეები გელღებს ხორბლით პირთამდე გაავსებენ, რაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ძალიან სასიკეთო იქნება – მეტი პურეული ხომ ქვეყნის მეტ სიძლიერესა და კეთილდღეობას ნიშნავს.

საქართველო, მოგეხსენებათ, ხორბლის იმპორტიორ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება და ყოველწლიურად 700 ათას ტონამდე მარცვლეულს ყიდულობს. წლევანდელი მაღალი მოსავალი, როგორც ექსპერტები ამბობენ, სხვა ქვეყნებიდან ხორბლის იმპორტს შეამცირებს. თუმცა ადგილობრივი წარმოება მოთხოვნილების მხოლოდ 25 პროცენტს თუ აკმაყოფილებდა, ვნახოთ, წლეულს როგორ იქნება.

მოსავალს კარგი პირი კი უჩანს, მაგრამ ყველაფერი ძაღლაზე დარჩება, თუ ტექნიკა წესრიგში არ იქნება, თუ საწვავი არ ეყოთ... სამწუხაროდ, საწვავის ფასი ხომ სწორედ ასეთ დროს აიწევს ხოლმე, როცა გლეხებს ძალიან სჭირდებათ. ეს საკითხიც ალბათ მისახედია.

კახეთი დღეს ხორბლის უხვ მოსავალს ელის. ამიტომაც იძახურ მშრომელებს განსაკუთრებული დახმარება და თანადგომა სჭირდებათ, რათა არც ერთი მარცვალი არ დაიკარგოს.

ნაზი იმნაიშვილი

◎ ინფორმაცია

მძღოლებს „კარუსელებში“ მონაწილეობა დაუშვასეს

„ლეიბორისტების“ მტკიცებით, არჩევნების დროს კარუსელების მოწყობისთვის თბილისის სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს „პატივისცემის ნიშნად“ ხელისუფლებამ მგზავრობის ფასის გაზრდის საშუალება მისცა.

აღნიშნული განცხადება პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ გუშინ პრესკონფერენციაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ მძღოლებს საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნების გაყალბებაში შეტანილი წვლილისთვის მგზავრობის საფასურის გაზრდის საშუალება მისცა.

კახაბერ ძაგანიას თქმით, ზემოაღნიშნული ინფორმაცია მგზავრობის გაძვირების შესახებ მძღოლებისგან მიიღო.

ლეიბორისტების იდეოლოგიური მდივნის ინფორმაციით, არსებობს ვიდეოჩანაწერები, სადაც ჩანს, თუ როგორ გადაჰყავთ ხალხი სამარშრუტო ტაქსებით ერთი საარჩევნო უბნიდან მეორე უბანზე არჩევნების გასაყალბებლად.

არსებული ინფორმაციით, თბილისში სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ფასი, 20 თეთრით იზრდება.

ინტერპრესნიუსი

◎ გლობუსი

საით გაიყოლებს

აშშ წინასაარჩევნო კამპანია ფინიშის სწორზეა. პარტიების ლიდერები, აქამდე ერთმანეთის მიმართ კრიტიკაში თავდაჭერილნი, შეტევაზე გადავიდნენ. დემოკრატთა ლიდერმა ბარაკ ობამამ თავის ამასწინანდელ გამოსვლაში მიწასთან გაასწორა რესპუბლიკელი პრეზიდენტის რვაწლიანი მოღვაწეობა. მან არც პრეზიდენტობისათვის მებრძოლი რესპუბლიკელი კანდიდატი დაინდო. ძირითადი თემა იყო ქვეყნის არცთუ იოლი საფინანსო-ეკონომიკური ვითარება, აგრეთვე მცდარი საგარეო პოლიტიკა. მაკკეინისადმი გამოთქმული კრიტიკა თვით მაკკეინის განცხადებიდან იყო გამომდინარე, რომლის მიხედვით წინამორბედის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი გაგრძელდება. თუ თვალს გადავავლებთ წინასაარჩევნო დაპირებების ისტორიას, დავინახავთ, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში კანდიდატის ადრე განცხადებული მოსაზრებები ნაწილობრივ იცვლება. არც ამ შემთხვევაში უნდა ველოდოთ სხვანაირ მოქმედებას. **სრულიად მოსალოდნელია, რომ თეთრ სახლში შესულმა მაკკეინმა ემოციები დაიოკოს და იმაზე რბილი პოლიტიკური კურსი შესთავაზოს ქვეყანას, რასაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს აცხადებდა. მაგრამ აქ არის სხვა მნიშვნელოვანი მომენტებიც, რომელთა გაუთვალისწინებლობა ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას არ მოგვცემდა. მათ შორის გამოვყოფდი მაკკეინის მოჭარბებულ კონსერვატულობას და ნეგატიური განცხადებების სიმრავლეს. წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაყღერებული ნეგატიური განცხადებებიდან თუნდაც ერთის ცხოვრებაში გატარება კიდევ უფრო დაძაბავს ბუშის წყალობით ისედაც დაძაბულ მსოფლიოს.**

ობამასაგან განსხვავებით მაკკეინი კატეგორიული წინააღმდეგია ერაყიდან ჯარის გამოყვანის. მისი სურვილია ერაყის ომში გამარჯვება. მაკკეინი, ობამასაგან განსხვავებით, არ აპირებს ირანთან, სირიასთან, ჰამასთან, კუბასთან ლაპარაკს. მათ მიმართ მაკკეინი მკაცრ პოლიტიკას გაატარებს. მაკკეინი არც რუსეთის დამწდობია. მისი აზრით, ადამიანის უფლებების დამრღვევი და მეზობლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების მძონე რუსეთი უნდა გარიცხოს დიდი რვიანის შემადგენლობიდან. კრიტიკასთან ერთად, მაკკეინი ბოლო დროს შერბილებულ პოზიციასაც აფიქსირებს, რაც ექსპერტების აზრით, აუცილებელია წინასაარჩევნო პროპაგანდისათვის. მაგალითად, ის ამბობს, რომ გამარჯვების შემთხვევაში მზად არის მაქსიმალურად შეამციროს ბირთვული იარაღი და ამასთან დაკავშირებით რუსეთთან დაიწყოს მოლაპარაკება. მისი განცხადებით, ამერიკა და რუსეთი ალარ არიან ერთმანეთის მტრები. ცივი ომი 20 წლის წინათ დასრულდა და დროა მილონ ახალი ზომები მსოფლიო არსენალში არსებული ბირთვული იარაღის შემცირებისთვის.

აშშ-ს და რუსეთს შორის ურთიერთობა რომ ისეთი არ არის, როგორც ამ ქვეყნების მაღალი რანგის პოლიტიკოსები საჯაროდ აცხადებენ, მტკიცება არ სჭირდება. ამის დამადასტურებელია სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკურ სამიტზე პრეზიდენტ მედვედევის, მოკლე, მაგრამ ერთობ კრიტიკული განცხადება ამერიკის ადმინისტრაციის უპასუხისმგებლო ფისკალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. არც გაეროში რუსეთის წარმომადგენლის ჩურკინის სიტყვაა დაშაქრული, რომელიც მან უშიშროების საბჭოს სხდომაზე წარმოთქვა. ჩურკინმა დაადანაშაულა აშშ და კოალიციაში შემავალი ქვეყნები მათ სამხედრო ციხეებში ათასობით ერაყელი ბავშვის გამომწყვდევისათვის, გარდა ამისა, ამერიკული კერძო დაცვის სამსახურები – მშვიდობიანი ერაყელების არამოტივირებულ ხოცვაში. ჩურკინმა აღნიშნა, რომ ომმა 25 მილიონი ლტოლვილი და 2 მილიონი ადგილმონაცვლე გააჩინა. სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება მოსკოვ-ვაშინგტონის ურთიერთობებიდან, მაგრამ ესეც კმარა. როგორ განვითარდება ობამა-მაკკეინის ვერბალური ომი, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ნამდვილი ომი, რომელიც პრეზიდენტმა გუშმა წამოიწყო სამარადისო სახელის მოსახვეჭად, ვაშინგტონისათვის დამაიმედებლად არ გამოირჩევა. **ბუშის ყოფილმა პრეს-მდივანმა მაკლელანმა მემუარების წიგნი გამოსცა, სადაც აღნიშნა, როცა ომს იწყებდა ბუში ერაყში, სახელის მოხვეჭას იმედოვნებდაო. თეთრი სახლის პატრონის აზრით, მხოლოდ ომის დროს არსებული მმართველი სტოვებს კვალს ისტორიაში.**

გუშინ მართლაც დატოვებს კვალს ისტორიაში, მაგრამ არა როგორც ომში გამარჯვებული ტრიუმფატორი და ქვეყნის აღმაშენებელი, არამედ – შებრუნებით. გუშის რვაწლიანი მმართველობის დროს ბარელ ნავთობზე ფასი 25-28 დოლარიდან 140 დოლარამდე გაიზარდა. აქედან გამომდინარე, ფასები გაიზარდა ყველაფერზე, მათ შორის კვების პროდუქტებზე. ამას წინათ ტელეკომპანია ევრონიუსმა აჩვენა საფრანგეთის საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენლების მიერ სუპერმარკეტებთან დღის ბოლოს მოწყობილი რიგები. ფრანგები ალარ თაკილობენ სუპერმარკეტების მიერ ჩამოწერილი კვების პროდუქტების მოპოვებას. გენზინზე ფასების ზრდამ დიდ ბრიტანეთში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში მძღოლების გაფიცვები გამოიწვია.

სანკტ-პეტერბურგის ფორუმზე მედვედევმა ისიც აღნიშნა, რომ აშშ ვერ გაამართლეს დანარჩენი ქვეყნების იმედები მსოფლიო ლოკომოტივობასთან დაკავშირებით, რაც ახლოა სინამდვილესთან. ერაყში და ავღანეთში ომები გრძელდება. მილიარდობით დოლარი ქარს მიაქვს. დასასრული კი არ მოჩანს. ნატოს ხელმძღვანე-

◎ სიახლე

საუბნო მრიცხველების ერა კახეთში წარსულს ჩაბარდება...

კახეთში საუბნო მრიცხველები და თვის ბოლოს მოსული დიდი დანაკარგის საფასურის გადახდა ადგილობრივებს მოსვენებას წლების მანძილზე უკარგავდა და ხშირად მეზობლებს შორის კონფლიქტის მიზეზი ხდებოდა. მოსახლეობა იმ ფაქტზე წუხდა, რომ ხშირ შემთხვევაში დანახარჯზე ბევრად მეტს სწორედ ზედმეტად გამოწერილი თანხა შეადგენდა. როგორც შევიტყვეთ, წლობით დაუძლეველი პრობლემების მოგვარების პერსპექტივა კახეთში სულ უფრო რეალური გახდა.

კახეთის მასშტაბით ახალი მრიცხველების დამონტაჟება დასასრულს უახლოვდება. როგორც „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ გამრიცხველიანების ჯგუფის უფროსი **კოგა აგურაშვილი** აცხადებს, რეგიონის შვიდ რაიონში უკვე დასრულდა მოსახლეობის უფასოდ გამრიცხველიანება. ამჯერად, განახლების სამუშაოები დედოფლისწყაროში მიმდინარეობს, რითაც რეგიონის მთლიანი გამრიცხველიანება უახლოეს დღეებში დასრულდება. აგურაშვილი აცხადებს, რომ კახეთში უსასყიდლოდ 120 ათასი ახალი მრიცხველი დამონტაჟდა და ძუჩებში, ელექტროძაბზე განთავსდა.

ენერგოდისტრიბუციაში აცხადებენ, რომ კომპანიას დანაკარგის თანხა იმდენად ძვირი უჯდებოდა, იძულებული გახდნენ მრიცხველების მასობრივად განახლებისთვის სოლიდური თანხები გამოეყოთ.

„რათა მოსახლეობას ახალი მრიცხველის სიძვირის გამო მის გამოცვლაზე უარი არ ეთქვა, გადავწყვიტეთ ეს ხარჯები თავად კომპანიამ დაფაროს, რის შემდეგაც დანაკარგის მასშტაბურობას თავიდან ავიცილებთ“ – აცხადებენ ენერგოდისტრიბუციაში.

როგორც შევიტყვეთ, ენერგოკომპანია პარალელურად ელექტროძაბების არალეგალური სადენებისგან გაწმენდასაც ახდენს.

„ვცდილობთ, ქსელი აბლაბუდას ტიპის გაუგებარი გაყვანილობებისგან მაქსიმალურად გავწმინდოთ. ამ მხრივ კახეთში ძალიან მძიმე ვითარება იყო, რაც წამდაუწუმ დენის გათიშვას იწვევდა. თავის მხრივ, ეს ფაქტი, ცხადია, მოსახლეობის უსაფრთხოებისთვისაც სარისკო იყო. შემოტანილია ორი სახის მრიცხველები, 100 და 200 ლარის ღირებულების. მოსახლეობას სრულიად უფასოდ ვუმონტაჟებთ, ხოლო ორგანიზაციებს და კერძო ობიექტებს მრიცხველის საფასურის გადახდა მოუწევთ. ვფიქრობთ, მრიცხველების განახლების შემდეგ დანაკარგის რიცხვი მინიმუმამდე შემცირდება და დაბალანსდება, რაც კონფლიქტურ ვითარებებს და მეზობლებს შორის დავებს ფაქტობრივად გამორიცხავს. აქამდე უბნების თავში საერთო მრიცხველებიც იდგა, რის მიხედვითაც აბონენტებს მოხმარებულ კილოვატებთან ერთად დანაკარგის გადახდაც უწევდათ, რომელიც თანაბრად ნაწილდებოდა იმავე უბნის მცხოვრებლებზე. მინდა გითხრათ, რომ ამიერიდან საუბნო მრიცხველების ერა კახეთში წარსულს ჩაბარდება. მოსახლეობასაც ზედმეტი თანხების გადახდა აღარ მოუწევს...“ – აცხადებს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის უფროსი **ვლადიმერ მოსულიშვილი.**

ზედმეტი თანხების გადახდითა და მეზობლებს შორის არსებული კონფლიქტებით დაღლილი ადგილობრივი მოსახლეობა მრიცხველების განახლებას იმედის თვალით უყურებს. კახელები განსაკუთრებით იმ ფაქტმა გაახარა, რომ ახალი მრიცხველების საფასურის გადახდა მათ აღარ მოუწევთ. ისინი მიიჩნევენ, რომ სამუშაოების დასრულების შემდეგ მრავალწლიანი პრობლემები საბოლოოდ მოგვარდება და მოსახლეობა შვებას იგრძნობს...

ილია მარტყოფლიშვილი.

◎ გლობუსი

მსოფლიოს აშშ?

ლობის გეგმის მიხედვით, კოალიციური ჯარები ავღანეთში 2016-18 წლამდე იქნებიან.

ბუშის ადმინისტრაციის დროს საფუძველი ჩაეყარა ფართომასშტაბიან შეტევას აღმოსავლეთზე. განხორციელდა „ფერად-ყვავილოვანი რევოლუციები“ დსთ-ს სივრცეში. დაიწყო რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგება აღმოსავლეთ ევროპაში, დსთ-ს ქვეყნებიდან ნატოში ზოგიერთი ქვეყნის ჩათრევის პროცედურები და სხვა. დღესაც გულმოდგინეთ მიმდინარეობს ამერიკელთა მხრიდან დსთ-ს სივრცეში შეჭრის მცდელობა. ამის ნათელი დამადასტურებელია აშშ კონგრესმენების ამჟამინდელი ვიზიტი ყაზახეთში და მათი მოლაპარაკება ყაზახეთის ხელმძღვანელებთან. **შეხვედრების დროს კონგრესმენებმა მზადყოფნა გამოთქვეს ყაზახეთის საჰაერო თავდაცვის სისტემების მოდერნიზაციის განხორციელებისათვის. ექსპერტთა ვარაუდით, თუ ამერიკელები ამ საქმეს დაიწყებენ, მას უდავოდ მოჰყვება ყაზახი ჯარისკაცების წვრთნაც, რაც მთლიანობაში გზას გაუხსნის ამერიკელებს ყაზახეთის სამხედრო ძალებში შესასვლელად. ყაზახეთის მიმართულებით კარგა ხანია აქტიურია ნატო, როგორც ჩანს მასთან ერთად ამერიკაც იმოქმედებს.**

ცენტრალური აზია და კასპიის ზღვის აუზი დიდი ხანია ვაშინგტონის მოჭარბებულ ინტერესს იწვევს. ამერიკელთა მიზნების შესახებ გარკვეული აზრი გამოამზეურა ალმა-ათაში გამართული ერთ-ერთი ფორუმის დროს ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ. მან განაცხადა, რომ ყაზახეთი ცენტრალური აზიის ფარად მოიაზრება. **საკუთარი გეოგრაფიული მასშტაბებიდან და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ყაზახეთი იცავს შუა აზიის ქვეყნებს პირდაპირი რუსული მოქმედებებისაგან, ვინაიდან მხოლოდ ის ესაზღვრება რუსეთს. თუ ყაზახეთი გააგრძელებს ამ ფუნქციის შესრულებას, რეგიონის ქვეყნები აუცილებლად მოიპოვებენ ნამდვილ დამოუკიდებლობას. ბჟეზინსკის აზრით, სულ მალე დაიწყება მკაცრი ჭიდილი კასპიის ზღვაზე გავლენის მოსაპოვებლად. ამიტომაც უკვე დღეს არის საჭირო პრიორიტეტულობის განსაზღვრა, თუ ვის მხარეზე იქნებიან რეგიონის ქვეყნები ამ ბრძოლაში. ბჟეზინსკის სიტყვებში მოწოდებაც იკვეთება. აშშ-ს მატერიალურ-ფინანსური შესაძლებლობები ხარბი დსთ-ს ქვეყნებისათვის, ხშირ შემთხვევაში, გადამჭრელად მოქმედებს.** არ არის გამორიცხული, რომ ამერიკული წინადადებით მოხიბლულმა ნაზარბაევმა ამერიკული პროგრამა „კასპიის ფარში“ ჩართვის სურვილიც გამოთქვას. პროგრამით გათვალისწინებულია კასპიის ზღვის სამხედრო-პოლიტიკური კონტროლი. ამერიკელთა სურვილია რაკეტსაწინააღმდეგო მეთოხე პოზიციის, სარადარო სისტემის, კასპიის ზღვის ყაზახეთის ნაწილში განთავსება.

ვაშინგტონის სურვილია კასპიის ზღვაში საფუძვლიანი შეჭრა, რითაც ის არა მარტო ირანს უახლოვდება, არამედ რუსეთსაც. ეს კი გაამწვავებს აშშ-სა და ირანს და აშშ-ს და რუსეთს შორის ურთიერთობებს.

ზემოთ მოყვანილი და სხვა ნებისმიერი ანალიტიკოსის მსჯელობა ცხადყოფს, რომ ვაშინგტონი ცდილობს ისარგებლოს ყველა შესაძლებლობით, რათა ფეხი მოიკიდოს ყველა იმ ადგილას, სადაც ამის საშუალებას ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული ან სხვა ინტერესები მოითხოვს. ამ მხრივ ცენტრალური აზია და კასპიის ზღვის აუზი ერთ-ერთი ის ადგილია, სადაც ამერიკელებს ნამდვილად არაფერი ეკითხებათ. ისინი ცდილობენ ამ რეგიონში ისეთი ვითარების შექმნას, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, ნებისმიერ დროს ჩაერიონ ამ რეგიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში, ისე, როგორც ეს ბოლო დროს ხდება საქართველოში.

ამ ფონზე ნათელია, რომ ამერიკელებს ნამდვილად არ აინტერესებთ ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება. ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ნამდვილად არ ეხმარება ამერიკელებს ამ რეგიონში ფეხის მოკიდებაში. ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ნამდვილად ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაძლიერებას, რაც ამ ქვეყნების ხელისუფლებებს საშუალებას მისცემს, ისინი ნაკლებად მოექცნენ ამერიკელების გავლენის ქვეშ. ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ნამდვილად ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაძლიერებას, რაც ამ ქვეყნების ხელისუფლებებს საშუალებას მისცემს, ისინი ნაკლებად მოექცნენ ამერიკელების გავლენის ქვეშ.

ამ ფონზე ნათელია, რომ ამერიკელებს ნამდვილად არ აინტერესებთ ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება. ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ნამდვილად ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაძლიერებას, რაც ამ ქვეყნების ხელისუფლებებს საშუალებას მისცემს, ისინი ნაკლებად მოექცნენ ამერიკელების გავლენის ქვეშ.

ამ ფონზე ნათელია, რომ ამერიკელებს ნამდვილად არ აინტერესებთ ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება. ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ნამდვილად ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაძლიერებას, რაც ამ ქვეყნების ხელისუფლებებს საშუალებას მისცემს, ისინი ნაკლებად მოექცნენ ამერიკელების გავლენის ქვეშ.

ამ ფონზე ნათელია, რომ ამერიკელებს ნამდვილად არ აინტერესებთ ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება. ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ნამდვილად ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაძლიერებას, რაც ამ ქვეყნების ხელისუფლებებს საშუალებას მისცემს, ისინი ნაკლებად მოექცნენ ამერიკელების გავლენის ქვეშ.

ამ ფონზე ნათელია, რომ ამერიკელებს ნამდვილად არ აინტერესებთ ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება. ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ნამდვილად ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაძლიერებას, რაც ამ ქვეყნების ხელისუფლებებს საშუალებას მისცემს, ისინი ნაკლებად მოექცნენ ამერიკელების გავლენის ქვეშ.

◎ სიმართლე კი ასეთია

რას ნიშნავს აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი?

ლიხნის მონასტერი

(მეხუთე გვერდიდან)

ერთიანი საქართველოს არსებობის დროს (მე-10 ს. ბოლო – მე-15 ს. ბოლო) აფხაზეთი ერთი საერისთავო იყო, რომლის სამხრეთი საზღვარი ცხუმამდე აღწევდა. ვინ იყვნენ გენეტიკურად ეს საკუთრივ აფხაზეთის აფხაზები ძნელი სათქმელია, მაგრამ ისტორიულ-კულტურულად, ეროვნული თვითშეგნებით ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც ეგრები, სვანები, კახები, ქართები და როგორც ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს, ისეთივე მონაწილეობას იღებდნენ ქართული სახელმწიფოს, ქართული კულტურის შექმნაში, როგორც ყველა სხვანი და არავითარი განსაკუთრებული დამსახურება არ მიუძღვით საქართველოს ისტორიაში. იმსაშინაო და საგარეო ძნელბედობის ვითარებაში, რომელიც ჩვენში მე-13 საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება, მე-15 საუკუნის ბოლოს საქართველო ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ოთხ სახელმწიფოდ: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად დასამცხის სამთავროდ იშლება. აფხაზეთი იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო. იმერეთის სამეფოში არსებული სამეგრელოს (ოდიშის ძმათავარი დადიანები ხელს ადებენ აფხაზეთის საერისთავოს, მაგრამ აფხაზეთის ერისთავი შარვაშიძეები იბრძვიან დადიანების წინააღმდეგ და მე-17 საუკუნის მეორენახევარში აფხაზეთი იმერეთის სამეფოში შემავალ სამთავროს უფლებებს მოიპოვებს, რომლის ერთ ნაწილს, საკუთრივ გალის რაიონს, მე-18 საუკუნის დასაწყისში, მისი ერთ-ერთი მფლობელის მურზაყან შარვაშიძის სახელი სამურზაყანო ეწოდა.

მე-13 საუკუნის შემდეგ შექმნილმა უძაძიმესმა მდგომარეობამ (ჯალალ ად-დინის, თურქმანთა შემოსევები, მონღოლთა გატონობა, თემურ ლენგი, და მე-16 მე-18 საუკუნეებში ირან-ოსმალეთის ბრძოლა საქართველოს დასაუფლებლად) განაპირობა საქართველოში მოსახლეობის შემცირება და ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა ჩამოსახლება. თანდათან მე-13 და მე-15 საუკუნეებში კანტიკუნტად, მე-16 და მე-18 საუკუნეებიდან, რუსეთის მიერ შევიწროებული ჩრდილოკავკასიის ველებიდან (შემდეგ სამხრეთ რუსეთი რომ უწოდესიძ მოსახლეობა კავკასიონის ჩრდილო კალთებს აფარებს თავს, რომელიც შემდეგ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გადმოდის, საიდანაც ქართველი მთიელები თანდათან გარში ჩადიან. ასე ჩნდება კახეთში ლეკთა, შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა, ხოლო დასავლეთ საქართველოში იმ მომთაბარეთა ჩამოსახლება, რომელნიც თავის თავს აფსუას უწოდებენ და რომელთაც ჩვენმა წინაპრებმა, რადგან ისინი კომპაქტურად ქართულ ისტორიულ მხარეში აფხაზეთში დასახლდნენ, „აფხაზები“ უწოდეს.

რომ აფსუების (ჩვენ რომ აფხაზებს ვუწოდებთ) კომპაქტური დასახლებები ჩვენში გვიან (მე-16 და მე-17 საუკუნიდანძ ჩნდებიან, ამაზე პირდაპირი მითითებებია ქართულ დოკუმენტურ, უცხოურ (თურქულ, ლათინურენოვან, რუსულძ წერილობით წყაროებში. ამაზე აშკარად მეტყველებს თვით აფსუათა ხალხური გადმოცემები, რომლის თანახმად ისინი მთაში ცხოვრობენ და გარში მხოლოდ საძარცვავად ჩამოდიან, მათი ეპოსი მომთაბარულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მე-16 საუკუნის რამდენიმე უცხოურ რუკაზე კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, მდ. თერგის ნაპირას დატანილია ქვეყანა „აფსნი“ და მისი დედაქალაქი „აყვა“. როდესაც აფსუები ყოფილი ცხუმის საერისთავოს ტერიტორიაზე დასახლდნენ, ცხუმს მათ თავისი დედაქალაქის სახელი დაარქვეს.

მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმით, საქართველო ორ – თბილისის და ქუთაისის გუბერნიებად გაიყო, აფხაზეთი (ყოფილი აფხაზეთის და ცხუმის საერისთავოები ქუთაისის გუბერნიაში შევიდა, როგორც სოხუმის ოლქი. მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ, 1918 წელს დაფუძნებულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აფხაზეთი ავტონომიის სტატუსით შევიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს (1918-1921ძ აფხაზეთში ადგილობრივი ბოლშევიკების, ქართველი ბოლშევიკების საბჭოთა რუსეთის დახმარებით, იყო მისი საქართველოდან გამოყოფის, დამოუკიდებლობის გამოცხადების, საბჭოთა რუსეთთან გაერთიანების ცდები, რომლის წინააღმდეგ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება სათანადო ზომებს იღებდა, იღვრებოდა სისხლი.

1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ აფხაზეთის სტატუსი რამდენჯერმე შეიცვალა. აფსუა ბოლშევიკების მოთხოვნით, ქართველი ბოლშევიკების მხარდაჭერით, საკითხის რამდენჯერმე განხილვის შემდეგ 1921 წლის მარტში ქართულ მიწა-წყალზე, შეიქმნა აფხაზეთის (აფსნისძ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რითაც სრულიად იგნორირებული იყო აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ინტერესები, რომელნიც აძ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ისინი გამოთქვამდნენ პროტესტს, რატომ უნდა ეცხოვრათ მათ სხვა, აფსუათა სახელმწიფოში, როდესაც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფსუები (აფხაზებიძ, ოფიციალური აღწერით, მოსახლეობას, 17 პროცენტს შეადგენენ (ყველა არსებული ცნობით, ეთნიკურად აფხაზები აფხაზეთში ყოველთვის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენძ, ქართველები 45 პროცენტს, დანარჩენი იყვნენ რუსები, სომხები, ბერძნები... ალბათ, დავა არ შეიძლება იმაზე, რომ 17 პროცენტი აფსუები შეძლებდნენ 45 პროცენტი ქართველების გამოდევნას სამშობლოდან, რაც მოხდა, კარგადაა ცნობილი.

თვით აფსუები თავისი პრეტენზიების გასამართლებლად ისტორიას აყალბებენ, თითქოს მათ ჰქონდათ დამოუკიდებლობა და ქართველებმა მათ ის წაართვეს. რომც გავიზიაროთ თანამედროვე აფსუათა (და მათ მხარდამჭერთაძ თვალსაზრისი მათი და ძველი აფხაზების გენეტიკური კავშირის შესახებ, უნდა ვიცოდეთ, რომ არავითარი „აფხაზი ერი“ საქართველოში არ არსებობდა. აფხაზი იყო ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფი (სულერთია ქართველური თუ არაქართველურიძ, რომელიც შედიოდა ქართველ ერში, ისევე, როგორც კახი, მეგრელი, იმერელი...

რაც შეეხება დღევანდელ აფსუებს, ჩვენ რომ აფხაზებს ვუწოდებთ, მათ აქვთ მყარად ჩამოყალიბებული ეროვნული თვითშეგნება, საკუთარი ტრადიციები, კულტურა (აფსუათა ენა, მწერლობა, ხელოვნება...ძ. მათ აქვთ საქართველოში ცხოვრების სრული უფლება, რაც ყოველთვის ჰქონდათ და რასაც არასდროს შედავებიან, მაგრამ არ აქვთ ამ ქართული მიწა-წყლის საქართველოდან გამოყოფის უფლება, ან „კონცეფციის“ თანახმად გაუგებარი „სუვერენული“ სახელმწიფოს სახით საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. „სუვერენული თანამედროვე გაგებით“ დამოუკიდებელს ნიშნავს და რომლის პრეზიდენტი, საპრეზიდენტო მმართველობის არსებობის პირობებში, აფხაზეთის მოქალაქე ეთნიკურად აფხაზი (აფსუაძ უნდა იყოს და არა ამ „სუვერენული“ სახელმწიფოს მოქალაქე, რაც, ვფიქრობ, ჩვენი მხარისათვის მიუღებელი უნდა იყოს, თუმცა, როგორც ჩანს, ეს არც აფსუათა თანამედროვე ლიდერებს მიაჩნიათ მისაღებად, მათ დამოუკიდებელი სახელმწიფო სურთ, სადაც ქართველებისათვის მათ ძირძველ მიწაზე ადგილი არ არის.

აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტად უფრო აქტიურად უნდა იმოქმედონ ნეიტრალურად განწყობილმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, შეიძმნას სრული გარანტიები გამოქვეყნებულთა საკუთარ მიწაზე დასაბრუნებლად და შემდეგ გაირკვეს, რა სურს აფხაზეთის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში მცხოვრებ მოსახლეობას.

მარიამ ლორთქიფანიძე

---

[1]) ვუთითებთ „კონცეფციის“ ტექსტში მიღებულ ნუმერაციას.

[2]) დებულება საქართველოში აფხაზეთის სუვერენული სახელმწიფოს შესახებ არის ბოდენის პროექტშიც. ხოლო რაც შეეხება „პროექტში“ მოტანილ მაგალითებს სხვადასხვა სახელმწიფოთა სინამდვილიდან (ესპანეთი, გერმანია, შვეიცარია, რუსეთი), ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული არიან, ამასთანავე, არც ერთ მათგანში არ არის „სუვერენული სახელმწიფო“ სახელმწიფოს შემადგენლობაში.

[3]) რაც შეეხება წარსულსა თუ მომავალში საქართველოს სახელმწიფოებრივი ფორმის პრობლემას, სახელდობრ: იყო ის, თუ იქნება ფედერალური სახელმწიფო, თანამედროვე მეცნიერებაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა და ეს ცალკე მსჯელობის საგანია. ამასთანავე, მიუხედავად „კონცეფციის“ ავტორთა განცხადებისა, რომ „მეცნიერთა და პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი ემხრობა საკითხის ფედერალიზმის პრინციპის საფუძველზე მოწესრიგებას (27), უნდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერული საკითხები ხმის უმრავლესობით არ წყდება.

[4]) ასეთი „რესპუბლიკები“ საბჭოთა სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემის ჩამოყალიბების დროს სხვებიც შეიქმნა, რომელნიც მალე გააუქმეს.

◎ ინფორმაცია

ბურჯანაძე პოლიტიკაში ჯდება

ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია აცხადებს, რომ ნინო ბურჯანაძე პოლიტიკაში რჩება, თუმცა ის მკვეთრ პოლიტიკურ სვლებს არ გააკეთებს.

როგორც მანანა ნაჭყებიამ განაცხადა, ბურჯანაძე პოლიტიკაში გამოჩენით საკუთარი დაშვებული შეცდომების კომპენსირებას შეეცდება.

— ბურჯანაძე რომ პოლიტიკიდან არ წავიდოდა, ეს მოსალოდნელი იყო, თუმცა ის მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას არ დაიწყებს, ანუ ნაკლებადსავარაუდოა, რომ ის ხელისუფლების ოპონენტად მოგვევლინოს, იქედან გამომდინარე, რომ ამ შემთხვევაში ის საკუთარ თავს საფრთხეში ჩაიგდებს. ბურჯანაძე დაელოდება მოვლენების სასურველი მიმართულებით განვითარებას. რაც შეეხება მის განაცხადს ფონდის დაფუძნების შესახებ, ის ამ ფონდში მუშაობით შეეცდება საკუთარი შეცდომების კომპენსაციას, — განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.

ხი-ივიზ-ივი

◎ ჩვენი ბიბლიოთეკა: ახალი თარგმანი



მილორად პავიჩი

სხვა სხეული



ანა და ზაქარია გასაკვირად მშვიდად იყვნენ, რადგან, როგორც ზაქარია ამბობდა, ორივემ კარგად იცოდა, როდის შეწყდებოდა ხმა. ზაბეტამ თავისი აზრი გამოთქვა:

— ვიღაცას ჩვენთან კავშირის დამყარება სურს, ასეთნაირად წმინდა სული მოგვმართავს, მაგრამ არცვის არ გვესმის. სანამ არ გვესმის...

ისევე მოულოდნელად გაქრა ის ხმა, როგორადაც მოულოდნელად დაეშვა ვენეციაში, და ეს ამბავი პირველ ხანს არავის არ შეუმჩნევია. უბრალოდ ერთხელ დილით ყველანი სიჩუმემ, ჩიტების ჭრინვამ და ტალღების დგაფუნმა გამოაღვიძა და არა ხმამ. ხმა აღარ ისმოდა. ეს ამბავი ორ დღეში მოხდა იმ ვადის შემდეგ, რომელზედაც ზაბეტა და ანა ლაპარაკობდნენ.

მაშინ უცებ რაღაც-რაღაცები წამოაგონდა ზაქარიას. წამოაგონდა, რომ მონსინიორ კრისტოფოლომ ჰკითხა, ხმა რამ გაიგონე თუ არაო.

— ეს ხომ სულ რამდენიმე კვირით ადრე მოხდა, მანამდე, ვიდრე ჩვენ, ვენეციის ყველა დანარჩენი მცხოვრები, ხმას გავიგონებდით! — უთხრა მან ანას, რომელმაც მშვიდად მიუგო, მონსინიორ კრისტოფოლოს გარდა სხვანიც არიან, ვინც ის ხმა ჩემამდე და შენამდე გაიგონაო.

— ვინ არიან? —აღმოხდა ზაქარიას, თუმცა მოეჩვენა, რომ პასუხი ისედაც იცოდა.

ზაბეტამ ის ხმა მაშინვე გაიგონა, როცა მონსინიორსაც მოეყურა.

* * *

— **ეჭვი** არ მეპარება, რომ შენს ოთახში ხშირად გესმოდა, როგორ წარმოთქვამდა მაესტრო ჯერემია რაღაც უცნაურ ფრაზებს და როგორ ითხოვდა ჩემგან, დაიხსომეო...

ამ სიტყვებით დაიწყო ანამ ლაპარაკი ზაქარიასთან საღამო ხანს, ხმის გაქრობის შემდეგ სამ დღეში. ისე ჩანდა, თითქოს ცხოვრების იმ ადგილის დაკერება უნდოდა, სადაც ის, ცხოვრება, ხმამ შუაზე გააპო. და ეს იყო ყოველის უფრო უკეთესი რამ, რაც მან მთელ იმ საღამოს თქვა. ზაქარიამ ფიქრწაღებულმა ააჟღერა ჩემბალო, რომლის ორი კლავიშიც ახლა დაკერებული იყო. ანა გაკვირვებული უსმენდა, სკიავონეს დაკვრას პირველად უგდებდა ყურს, თუმცაღა კარგად უწყოდა, რომ რახან მუსიკას თხზავდა, დაკვრითაც რაღაცის დაკვრა უნდა სცოდნოდა. ზაქარია რომელიღაც ნაღვლიან სიმღერას უკრავდა, ანასთვის უცნობ სიმღერას, რომლის ძირიც ნოსტალგიურ სიღრმეში ჩაზრდილიყო.

მუსიკა ლაბირინთში მოგზაურობააო, გაიფიქრა ანამ. ზაქარიას რომ უსმენდა, ის თან ზაბეტას ქვის ბეჭედს უმზერდა, რომელიც სკიავონეს უელავდა ხელზე.

— საიდან ჰქონდა ზაბეტას ბეჭედი, რომელიც ყველაფერიც ღირს და ამავდროულად არც არაფერი არა ღირს? — ჰკითხა მან და დაკვრა შეწყვიტა. — აი ეს, იმან რომ მაჩუქა და ახლა თითზე მიკეთია?

— ეგ ბეჭედი იმან მავანი კაცისგან თავის განუკურნებელ სენთან ერთად ირგუნა.

— მე ვითომ რაღატომ მომანდო? ნუთუ თავად არ შეეძლო ამისი მაგიური ძალის გამოყენება, რახან ესოდენ ძვირად შეუძენია?

— ხომ გითხრა, რომ ბეჭედი ვერ შეეწეოდა, რამეთუ ეგ მომავალს წინასწარმეტყველებს. ზაბეტას კი თავის სენთან ერთად მომავალზე გამოთქმული ყოველგვარი აზრი აკრთობს. თუმცაღა, ვერც მე გავბედავდი ჩემი მომავლის განჭვრეტას. რაც იქნება, იქნება, მადლობელი ვარ ყველაფრისთვის! მომავლისკენ გახედვაც კი მაშინებს. შენ რას იტყვი?

— ვგონებ, ჩემი მომავლის შიშის საბაბი არა მაქვს. არ ვიცი, აგრე რად ვფიქრობ, მაგრამ ეს აგრეა. მომავალი როგორი იქნება, ჩემთვის სულერთია.

— კი, ბატონო. ოღონდ თუ მოინდომებ, სულ ადვილად შეგიძლია შენი მომავლის გაგება. ბეჭედი ხელზე გიკეთია, სასმისის გრძნეული ლექსი უკვე შენია, საკმარისია ერთხელ წაკითხვა, და სიცოცხლის ბოლომდე გაგიწევს სამსახურს. კლებით ოდენ ღვთისმშობლისცრემლებიანი თიხის ჭიჭყლაღა გაკლია. იმასაც კარნავალის ჟამს ვიშოვით. უკეთუ გადაიფიქრებ და ნიშნების ჩხრეკაზე უარს იტყვი, არცვისგან არცრა გევნება. ბეჭედი ისედაც ძალიან გიხდება. მოვილაპარაკეთ?

— დაიცა, — მიუგო ზაქარიამ, — რარიგ უწყი, რომ სასმისის ძირზე დანუსხული ლექსი ვიცი?

— განა ის ჩემს უჩუმრად არ გადმოიწერე სწორედ იმ ღამეს, ვიდრე ნამსხვრევთ სასწაულთა არხში გადაუძახებდი?

— შენ რა, არცროდის არა გძინავს? და განა ლექსმა ძალა არ დაკარგა იმის შემდეგ, რაც მაესტრო ჯერემიამ უკვე გამოიყენა?

— არა, იმიტომ რომ გამოყენება ვერ მოახერხა, ჩხიბვა არ გამოუვიდა, ამიტომ ლექსმაც შეინარჩუნა თავისი ყველა თვისება და ბეჭედმაც; აგრევე მოუვიდოდა თიხის ჭიჭყლის წყალსაც, უკეთუ ჯერემია არ მოსვამდა. ცხადია, მაესტროს ბეჭედი მონსინიორ კრისტოფოლოს დარჩა, მაგრამ შენ შენი საკუთარი გაქვს. მაშასადამე, როგორც კი გრძნეულ წყალს, ანუ ღვთისმშობლის ცრემლთ მოვიშოვებთ, უკვე ყველაფერი გვექნება, რაც კი რამ გვეჭირვება. საქმე მხოლოდ შენზეა, გადაწყვიტე, გინდა თუ არა იმის გაგება, რაც ცხოვრებაში გელოდება.

— როდის შევძლებთ ღვთისმშობლის ცრემლთა მოშოვებას?

— აკი გითხარი, კარნავალი რომ დაიწყება. აგრე და ამგვარად, ჩემო ლამაზო სკიავონე, გეტყობა, მაინც მოგინდა არა, საკუთარი ცხოვრების დალანდვა კლიტის ჭუჭრუტანაში?

— ოღონდ მაგ ჭუჭრუტანაში მარტო ჩემსას კი არა, შენს ცხოვრებასაც დავინახავ! მე ჩვენი საერთო მომავლის გაგება მინდა.

— მე კი არ მინდა... ახლა მაკოცე და დასაძინებლად წადი!

8. მსახურთა კომედია

— შენზე ვალია — კიდევ ერთი ახსნა-განმარტება. რა იყო, რა გაუგებარ ფრაზებს გეუბნებოდა მაესტრო და რატომ გაძალებდა, დაიხსომეო. კედლის იქიდან ყველაფერი მესმოდა.

— „გნომებს“ მეუბნებოდა, ერთხელ როგორღაც გითხარი. ახლა აგიხსნი, რასაც ნიშნავს. ისინი ნიღბების კომედიას უკავშირდება, რომელ კომედიასაც ხან „ძანი“-ს სახელითაც იხსენიებენ, რაც „მსახურთა კომედიის“ აღმნიშვნელია. ჟამისად „კომედია დელ არტე“-საც იყენებენ სახელწოდებად. მაგრამ სახელწოდებისგან დამოუკიდებლად ამ წარმოდგენების ყურება იმათაც კი უყვართ, ვინც თეატრში არ დაიარება.

— აბა, სხვაგან სად უყურებენ?

— პირდაპირ ქუჩაში, თუმცა ხანდახან ამ წარმოდგენებს „განსწავლულთა დრამაში“ ურევენ. განსწავლულთა დრამის ნახვა გრიმანის თეატრონშიც შეიძლება, რომელიც უკვე ას წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე არსებობს, და კალე დელ თეატრშიც. ოღონდ ვენეციურ კარნავალს ისე ვერ წარმოიდგენ, თუ არა მეორენაირ ქუჩის კომედიასთან, ანუ „მსახურთა კომედიასთან“ ერთად. ამ კომედიაში მაყურებლის წინაშე ჩნდება ხუთი-ექვსი პერსონაჟი, მაგრამ ერთი და იმავე სახელებითა და ნიღბებით. ერთი და იმავე ტალავარ-სამოსლით, ოღონდ ყოველთვის სულ ახალ და ახალ, სხვა ამბავს წარმოადგენენ. ესენი არიან მსახურნი (ზანნი) და მზევალნი (სერვეტტე), სწავლული, მკურნალი ანდა ვექილი ბალანზონი, ონავარი არლეკინი, პულჩინელა და სხვანი. ყოველის უფრო ცნობილი პერსონაჟი პანტალონეა, შავნიღბიანი და წითელტალავრიანი ძველი ავხორცი, მერმე კაპიტანი კოკოდრილო, რომლის გამოსახულებაც, როგორც ხედავ, კედელზე ჰქონდა განსვენებულ მაესტროს.

ამრიგად, განვაგრძოთ. როგორც უკვე გითხარი, დელ არტეს კომედიაში მსახიობნი ყველასთვის ცნობილ ნიღაბთ იფარებენ და ადგილზევე, წარმოდგენის ჟამს, იგონებენ ყოველ საღამოს სულ ახალ-ახალ ამბავს, ახალ ინტრიგას და კვანძსაც იქავე ახლებურად ხსნიან სახელდახელოდ, ანუ all’improviso[1]. ეს არცთუ ადვილი საქმეა. ამიტომ მსახიობთა მისახმარებლად იქმნება მონოლოგებისა და ტირადების კრებულები, სადაც შეტანილია აგრეთვე ძარღვიანი ხუმრობა-ქილიკობანი, რომელთაც „ლაცი“, ანუ გამონათქვამები („გნომები“) ჰქვიათ. განსვენებული მაესტრო ნიღბების კომედიის დიდი თაყვანისმცემელი იყო, ის თავადაც თხზავდა და აგროვებდა კიდეც გამონათქვამთა კრებულთ ჯელოზის ვენეციური დასისთვის. სიბერეში უკვე დამაშვრალი მაესტრო, რაკიღა ჩემი კარგი მეხსიერების ამბავი იცოდა, იდგა და მიკარნახებდა ხოლმე ამდაგვარ ფრაზებს, მე კი უნდა დამეხსომებინა და მერმე ჩამეწერა, რა არი მსახიობთ მუდამ ხელთ ჰქონოდათ ახალი ხუმრობა-ქილიკობანი და რეპლიკები. ბოლოს კიდევ ერთ რაღაცას გეტყვი, რაც უშუალოდ ჩვენ ორსავე გვეხება.

— ორსავე? ხუმრობ?

— სულაც არა. დელ არტეს წარმოდგენაში მუდამ ორი უცნობი პერსონაჟი ჩნდება. ისინი შეიძლება რომ მსახიობნი არც იყვნენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს მუდამ ახალგაზრდა შეყვარებულთა წყვილია, რომელ შეყვარებულთაც წარმოდგენაში შემოაქვთ ახალი, მანამდე არნახული ტალავარ-სამოსელი, რამეთუ მიწყივ უკანასკნელი ვენეციური მოდის კვალობაზე აცვიათ. თავიანთ როლთ მარტო ისინი თამაშობენ სახედაუფარავად, უნიღბოდ. მე უკვე შევპირდი ჯელოზის დასს, რომ შემოდგომის კარნავალზე შეყვარებულთა წყვილს ამჯერად მე და შენ ვითამაშებთ.

— ბატონი ბრძანდები, ანა, ოღონდ მე ხომ თითქმის არ ვიცი იტალიური, ვენეციურ ენაკვზე რომ აღარფერი ვთქვა. გარდა ამისა, მე არცროდის არ მითამაშია სცენაზე.

— ჩემო ძვირფასო საქარიას, შიში რა მოსატანია, მერე რა, თუ მსახიობი არა ხარ, სამაგიეროდ კოცნაობა იცი, ნუ იტყვი. ლაპარაკით მე ვილაპარაკებ, შენ კი მხოლოდ უნდა ჩამკოცნო ხოლმე. ეს არის და ეს. საქმე უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილია, მსახიობთ ვერ დავაღალატიანებთ...

* * *

ვენეციაში ერთი დღესასწაულია, რომელიც თითქმის ნახევარი წელიწადი გრძელდება, ხოლო მთელი დანარჩენი დრო ამ დღესასწაულის მოლოდინში გადის. ეს კარნავალია. ის ოქტომბერში იწყება, ღვინობისთვეში, და დაახლოებით ხუთი თვე გრძელდება. ამ დღესასწაულის ჟამს სუყოველ ადამიანს, მოახლიდან და გლახაკიდან მოყოლებული დოჟამდე, შეუძლია ქუჩაში გამოსვლა და ნიღაბქვეშ როგორც თავისი თავისაგან, ისე სხვათაგან დამალულს, იმ ზღვა ხალხთან შერწყმა, რომელსაც წარმოუდგენელად ნაირ-ნაირი ტალავარი მოსავს და რომელიც მზად არის ყოველის უფრო წარმოუდგენელი სიგიჟისთვის.

ზაქარიამ არცროდის ზუსტად არ იცოდა, ანა იყო თუ არა, და ხან ეკარგებოდა, ხანაც ზღვა ხალხს შერწყმულ ნანდაურს არხების ნაპირებსა და ხიდებზე პოულობდა, სადაც ერთმანეთში ირეოდა მრავალთ უმრავლესი არლეკინი, პულჩინელა, პანტალონე და ბრიგელა, სატირი და ქასქანჯიელი, ჩიგოელი მეთევზე, კუზიან ზურგზე კატადასკუპებული ბერიკაცი, ესპანელი, სომეხი, შემწვარი ტაროების გამყიდველი, მეფე, ჯადოქარი, მკურნალი, ცალმოგვი აზნაური, ყაჩაღი და ავაზაკი, არარსებული ხომალდიდან მოსული მეკობრე და მეჯურმუცე, გლეხკაცი, მამაბერი, გონდოლიერი, მენახშირე და ბანოვანი. და მთელი ეს დუნდგო ხალხი დუღდა და შინაური პირუტყვის ბაზრობებიდან მარიონეტების თეატრებთან გადადიოდა, მკითხავ-გულთმისანთა და ყალთაბანდოთა კარავ-ფალანგთაგან კი იქით მიიწევდა, სადაც ტაშ-ფერხული და ტაშ-ფანდური გაეჩაღებინათ. აქ ბლომად ტრიალებდნენ ექიმბაშნი, რომელნიც სევდა-ნაღველს ცხელი ფერად-ფერადი ხუთო ქვებით აქარვებდნენ, ბლომადვე იყვნენ მკურნალნი, რომელნიც სიბერისგან გადარჩენას ჰპირდებოდნენ სუყველას, ვინც კურთუკულმა, ანუ ზურგშექცევით წინ გაქცევაზე გახდებოდა თანახმა (ვითომცდა ვენეციაში შორეული აღმოსავლეთიდან მარკო პოლოს მიერ ჩამოტანილი წესითა და ხერხით).

ისე ჩანდა, თითქოს აქ ნახევარ ევროპას მოეყარა თავი და ჯგრო ხალხში, რასაკვირველია, თვლა არა ჰქონდათ კურტიზან ქალთა თუ კაცთ, რამეთუ ამ ადამიანთათვის ეს კარნავალი მუდამ ოქროს ხანა იყო და აქ ყოფნა პროფესიული პრესტიჟის საქმედ მიითვლებოდა. ზაქარიამ როგორც კი ყური მოჰკრა, კარნავალის დღეებში სადმე, ვენეციის რომელიმე ქუჩა-შუკაში მიმავალი ეგების ვოლტერსაც კი გადაეყაროო, ძალიან აღელდა. საქმე ის არის, რომ თავის ახალ ხელნაწერში ის მწვავედ ეკამათებოდა ამ ფრანგ მწერალს. თუმცაღა კარნავალის ჟამს ვისიმე მოძებნა ვენეციაში შეუძლებელი რამ არის, ასე რომ ზაქარია არც ოცნებობდა დიდ ფილოსოფოსთან შეხვედრაზე, რომლის აზრსაც რუსი იმპერატორის პეტრე დიდის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ შეთქმულებაზე არ ეთანხმებოდა. რაკიღა ვენეციურ ნიღაბქვეშ ყოფნის უსაფრთხოებით სარგებლობდნენ, აქ, ავანტიურისტებად გადაცმული, უამრავი გარმიანელი დაძრწოდა, რომელთაც თავიანთ საშობლოში ათასგვარი თაღლითობისთვის კანონი სდევნიდა. უცხო სახელმწიფოთა სუვერენები, ანუ უმაღლესი ძალაუფლების მპყრობელნი, თავიანთი ცხოვრების ჩვეულ ოფიციალურ ზარზეიმურობას აქ კარნავალის მონაწილეთა ანონიმურობაზე ცვლიდნენ, რაც სულის მოთქმის საშუალებას აძლევდათ. და შეიძლებოდა იმედოვნება, რომ ყოველი მამაკაცური ნიღბის ქვეშ (დასტურ ამის იმედი ჰქონდა სუყველა ქალს, ვინც კი ზაქარიას გარშემო იყო) აღმოაჩენდი დამატყვევებელ კაზანოვას, ლამაზ ვაჟკაცს, ვაჭარს, მსტოვარსა და შეუდარებელ მიჯნურს, რომელიც იმსანად წმინდა მარკოზის მთელს რესპუბლიკაში მიმოდიოდა. ქურდობა-მპარაობა, გატაცება, სიძვა და მაშვლობა-მაჭანკლობა, ათასნაირი მკვლელობა თუ მოწამლვა იმალებოდა კარნავალის მონაწილეთა ნიღბებქვეშ, და ყოველივე ამ ოხრობა-ტიალობით განცვიფრებული ზაქარია დაეკითხა ანას:

— რატომ არის, რომ ვენეციის ხელისუფლებისგან მოელნებსა და არხებზე თვეობით ნებადართულია ამდაგვარი არეულობა და უწესობა?

პასუხის ნაცვლად ანამ ხელი ცხვირთან მიუტანა ზაქარიას და საჩვენებელი და ცერა თითები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა.

— რატომ არის, და ფულის ამბავია, ჩემო ძვირფასო. კარნავალის ჟამს ვენეციის არხებში წყალი კი არა, ოქროსა და ვერცხლის სკუდო და პინეზი დის! მთელი ვენეცია კარნავალების ხარჯზე ცხოვრობს. გინდ მიკიტნები თქვი და გინდ მებადურნი, დალაქნი თუ მეკურტნე-მებარგულნი, გონდოლიერნი, მოვაჭრენი, თერძნი და ნიღბების დამამზადებელნი ოსტატნი. თვით ანდალუსიელნი ბოშა დიაცნიც კი, რომელთაც სევილიიდან ფშვიერი, კეთილსურნელოვანი კუმპა, ანუ საპონი ჩამოაქვთ გასაყიდად. და ნუ დაგავიწყდება, რომ კარნავალთაგან უწინარესად ვენეციის რესპუბლიკა და მსახიობნი ნახულობენ ხეირს. მსახიობნი კარნავალის ღმერთნი არიან, რამეთუ მიწყივ ნიღაბფარებულნი ვლიან და არა მარტო ამ მხიარულ დღეებში. ხოლო რადგან ხვალ ჯელოზის დასის წარმოდგენაში ვმონაწილეობთ, შენც შენს სარგებელს ნახავ, ჩემო ლამაზო სკიავონე... ნახავ, ნახავ, არ ინაღვლო!

გადმოაქნა

გურამ გოგიაშვილმა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 100-111.

[1] იმპროვიზებით (იტალ.)

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველომ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები გაათავისუფლა

საქართველოს ხელისუფლებამ გაათავისუფლა რუსეთის ოთხი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც დაკავებულ იქნენ ზუგდიდის რაიონში სამშაბათს.

როგორც „ინტერფაქსს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალების წარმომადგენლებს დაუბრუნეს პირადი იარაღი და ნივთები, მაგრამ ტვირთი, რაც მათ გადაჰქონდათ აფხაზეთის გალის რაიონიდან ზუგდიდის რაიონის სამშვიდობოების ბაზაზე სოფელ ურტაში – 20 ტანკსაწინააღმდეგო მართული რაკეტა – არის ზუგდიდის პოლიციაში.

ზუგდიდის რაიონის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვაცნობეს, რომ „რუსი სამხედროების მიერ რაკეტებისა და საბრძოლო მასალების უკანონო გადაზიდვის ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება“.

მათი სიტყვებით, თუ „დადასტურდება, რომ საბრძოლო მასალები და რაკეტები აკრძალულია კონფლიქტის ზონაში გადასაზიდად, მაშინ ისინი იქნება ჩამორთმეული.

კოლექტიური ძალების სამხედრო ზონის სარდლობის წარმომადგენელი, ვისაც გადასცეს გათავისუფლებული სამხედრო მოსამსახურეები, თავის მხრივ, აცხადებს, რომ „კოლექტიური ძალები დასვამენ საკითხს დაკავებული სატვირთო მანქანის, იარაღისა და საბრძოლო მასალების დაბრუნების შესახებ“.

მისი აზრით, „თუ რაკეტები და საბრძოლო მასალები გადაგვქონდა უკანონოდ, მაშინ ისინი უნდა დაბრუნდეს გალის რაიონში, საიდანაც გაჰქონდათ ზუგდიდის რაიონში“.

რუსები დააკავეს ქართველმა პოლიციელებმა სამშაბათს სალამოს „საბრძოლო მასალებისა და ტანკსაწინააღმდეგო მართული რაკეტების გადაზიდვისათვის ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან შეუთანხმებლად“ და 7-სათიანი დაკითხვის შემდეგ გადასცეს ისინი კოლექტიური ძალების წარმომადგენლებს.

რუსეთის სამხედროებს დაკავება მიაჩნიათ უკანონოდ და ბრალს სდებენ ქართულ მხარეს პროვოკაციაში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამშვიდობო ოპერაციების შტაბის უფროსმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, რომ „საბრძოლო მასალებსა და რაკეტებს, რომლებიც გადაჰქონდათ კოლექტიური ძალების სატვირთო ავტომანქანით, მიაცილებდა სამი რუსი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც დაკავების დროს შეეცადნენ გაეწიათ წინააღმდეგობა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის“.

„რუსი სამხედროების მოქმედება არსებულ შეთანხმებათა ცალმხრივი დარღვევაა“, – აღნიშნა ყურაშვილმა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში აგრეთვე განაცხადეს, რომ რუსმა სამშვიდობოებმა უარი თქვეს ეთანამშრომლათ პოლიციასთან და პოლიციელები იძულებული იყვნენ განეიარაღებინათ ისინი.

უფრო ადრე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა განუცხადა სააგენტო „რია ნოვოსტის“ 15 რუსი სამშვიდობოს დაკავების შესახებ, რომლებსაც გადაჰქონდათ 35 ყუთი საბრძოლო მასალები.

„შტაბში ვარაუდობენ, რომ ეს არის ქართული მხარის მორიგი საინფორმაციო პროვოკაცია“, – განუცხადეს იტარტასს კოლექტიური ძალების შტაბში.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების კოლექტიური ძალები იმყოფებიან 1994 წლიდან, ისინი დაკომპლექტებულ არიან რუსეთის ძვედნაყოფებით.

BBC RUSSIAN.com

„ატლანტიკური საბჭო“ სოხუმში

აფხაზეთის ულიარებელი რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა მიიღო გავლენიანი ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია „ატლანტიკური კავშირის“ დელეგაცია. აღსანიშნავია, რომ ოკეანისგაღმელი ექსპერტების გაცნობითი მოგზაურობა მათთვის ახალ რეგიონში უკვე იყო რიგით მესამე დასავლეთის წარმომადგენელთა ვიზიტი ამ მხარეებში. ადრე აქ იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მეთიუ ბრაიზა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა. თბილისში საუბრობენ იმის შესახებ, რომ აფხაზეთი ახდენენ საკუთარი პოლიტიკის „მრავალვექტოროვნების“ დემონსტრირებას.

ამერიკელმა ანალიტიკოსებმა დაიწყეს სოხუმიდან, სადაც ორშაბათსა და სამშაბათს ხვდებოდნენ ულიარებელი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. „ატლანტიკური კავშირის“ დელეგაცია აფხაზეთის დედაქალაქიდან გაემგზავრება ზუგდიდში, სადაც მათი თანამოსაუბრე გახდება აფხაზეთის დევნილი მთავრობის მეთაური მალხაზ აძიშბაია, რომლის ლეგიტიმურობა აღიარებულია ოფიციალური თბილისის მიერ. აძვე ამერიკელებს საშუალება მიეცემათ, გაესაუბრონ ლტოლვილებს საქართველოს ყოფილი ავტონომიიდან. ქართულ-აფხაზური მოწესრიგების საკითხებში კონსულტაციები გაგრძელდება თბილისის კაბინეტებშიც. დელეგაცია ძვეყანაში დარჩება 20 ივნისამდე.

სოხუმში სერგეი ბაღაფშის გარდა ამერიკელებს შეხვდნენ უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა, თავდაცვის მინისტრი მერაბ ძიშმარია და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აფხაზეთის ლიდერმა მოლაპარაკების პროცესის ჩაშლაში ბრალი დასდო ოფიციალურ თბილისს, რომელმაც „მოსკოვის ხელშეკრულების დარღვევით შეიყვანა შეიარაღებული ფორმირებები კოდორის ხეობის ზედა ნაწილში“. მოლაპარაკებათა გაგრძელების მთავარ პირობად შეიძლება გახდეს მხოლოდ და მხოლოდ კოდორიდან ქართული შეიარაღებული ფორმირებების გამოყვანა და ხელმოწერა ხელშეკრულებაზე სამხედრო მოქმედებათა განახლებაზე უარის თქმის შესახებ.

ბატონმა ბაღაფშმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სოხუმი კატეგორიულად წინააღმდეგია რუსი სამშვიდობოების შეცვლით, და დაადასტურა, რომ მათი რიცხოვნობა გაიზარდა აფხაზური მხარის ხელმძღვანელობის თხოვნით. იგი როგორლაც ცდილობდა დაერწმუნებინა ამერიკელი სტუმრები იმაში, რომ რეგიონში ვითარების დაძაბვას ხელს უწყობს სწორედ საქართველო. ხოლო აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ ამერიკელებთან საუბარში გაიხსენა კოსოვოს ანალოგი და პირდაპირ განაცხადა, რომ აფხაზებისათვის საქართველო არ არის იგივე, რაც კოსოვოელებისათვის სერბეთი.

თბილისში ყოველივე ამაზე ცდილობენ მოახდინონ რეაგირება მშვიდად. როგორც „ნოვიე იზვესტიას“ განუცხადა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ელენე თევდორაძემ, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური დაინტერესება ქართულ-აფხაზური მოწესრიგების თემით ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ „საქართველომ უკანასკნელ ხანებში გაიმარჯვა საინფორმაციო ომში. ჩვენ გავიხილავთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს, ჩვენს მეგობარს და გასაგებია, რომ ამერიკული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები იჩენენ გაზრდილ ინტერესს საქართველოსადმი და მის ტერიტორიაზე კონფლიქტების გადაწყვეტის თემისადმი“. თუმცა იმის პროგნოზირებაზე, თუ კონკრეტულად რა შედეგი ექნება ამჟამინდელ ვიზიტს, ძალბატონ თევდორაძეს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

კავკასიის სტრატეგიული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის მამუკა არეშიძის აზრით, „ერთი მხრივ, აფხაზეთის ხელმძღვანელობა ცდილობს არ მიიღოს არავითარი ზომები მოსკოვის დაუკითხავად, მაგრამ, მეორე მხრივ, სოხუმი, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, ამჟღავნებს თავისი პოლიტიკის მრავალვექტორიანობას.

მართალია, ასეთი ვიზიტები არა მხოლოდ მოსწონთ თავად აფხაზებს, არამედ ანერვიულებს მოსკოვსაც. მაგრამ მთლიანად ეს პოზიტიური მოძრაობაა. „ატლანტიკური კავშირის“ დელეგაციის ვიზიტი შეესაბამება სოხუმში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მეთიუ ბრაიზასა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანას ამასწინანდელი მგზავრობის ტონსა და ჩარჩოებს.

ირინა ბარამიძე

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აფხაზური დათბობა

რუსეთი ცდილობს გააცივოს საქართველოს ხელმძღვანელობის მგზნებარება, რომელიც ცდილობს რუსეთის სამშვიდობოების შეცვლას პოლიციური ძალებით ევროკავშირის ეგიდის ქვეშ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ განაცხადა, რომ „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციების შესაძლო შეწყვეტის განხილვის დროს საქართველოს ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ასეთი უგუნური ნაბიჯი უსათუოდ მიგვიყვანს ვითარების გამწვავებამდე, გამოიწვევს მთლიანად კავკასიაში სიტუაციის კონტროლიდან გამოყვანას. მთელი პასუხისმგებლობა ასეთ შემთხვევაში დაეკისრება თბილისის ხელმძღვანელობას და მათ, ვინც თვალს ხუჭავს მისი კურსის საფრთხეზე“.

სმოლენსკის მოედანზე აღიარეს, რომ დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტიდან მიიღეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, „რომელშიც მოყვანილია საკმაოდ უხეში და უნიადაგო ბრალდებების სტანდარტული ნაკრები, სადაც, თითქოს, რუსეთი ახორციელებს აფხაზეთში სამხედრო კონტინგენტის უკანონო გაფართოებას. როდესაც ამტკიცებენ, რომ რუსეთის მხარემ „საკუთარ თავს წაართვა მშვიდობისმყოფელის ფუნქციის შესრულების საფუძველი“, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აყენებს წინადადებას 30 ივლისამდე მოეწყოს კონსულტაციები გადაწყვეტილების შესამუშავებლად „კოლექტიური ძალების მანდატის ფორმის შეცვლის შესახებ“ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში. შეგახსენებთ, რომ რუსი სამშვიდობოები 1994 წლიდან დსთ-ს ეგიდით. მოსკოვმა განაცხადა, რომ ზედმეტად მიაჩნია „კიდევ ერთხელ შევიდეს ქართულ მხარესთან დებატებში ნაბიჯის სამართლიანობასთან დაკავშირებით“, რომელიც მიღებული იქნა აპრილის ბოლოს. „დღევანდელ სიტუაციაში რუსი სამშვიდობოების ყოფნამ კიდევ ერთხელ მოგვცა საშუალება შეგვეჩერებინა დაძაბულობის ესკალაცია კონფლიქტის ზონაში, გაგვაცივა „გახურებულ თავებში“ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსისა, რომლებიც აფხაზეთის წინააღმდეგ გეგმავდნენ „ბლიცკრიგს“. რუსეთი მზად არის განიხილოს სიტუაცია გაეროში, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ფორუმებზე, „რომელთა მონაწილეებმა სულ უფრო და უფრო მეტად კონცენტრირდება საქართველოს მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობის მრავალ ფაქტში“. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, საქართველო იყენებს დსთ-ს ორგანოებს მხოლოდ „სამშვიდობოების ფუნქციონირებაში

სირთულეების შესაქმნელად“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი ეკატერინე ტყეშელაშვილი რუსეთის კრიტიკას გამოეხმაურა გელგიის დედაქალაქიდან. მან განაცხადა, რომ რუსეთი აკეთებს ყველაფერს საქართველოში ვითარების ესკალაციისათვის: „პროგლემა სწორედ რუსეთის მხარის მოქმედებაშია და არა ქართული ან აფხაზური მხარისა, და მთელი მსოფლიო ამას ხედავს“. დღეს ქალბატონი ტყეშელაშვილი წარუდგენს ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს საქართველოს პოზიციას კონფლიქტის მოწესრიგებების საკითხზე – მათ შორის სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის აუცილებლობის შესახებ. საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ანალოგიური მისიით გაიგზავნა რომში კონფერენციაზე ევროატლანტიკური ინტეგრაციის საელჩისათვის მზადება“, რათა რუსული ტანკები გადასროლილი იქნენ მდინარე ენგურზე, საქართველოსა და აფხაზეთის ულიარებელი რესპუბლიკის საზღვარზე.

საქართველოს პოლიციამ ზუგდიდის რაიონში დააკავა 14 რუსი მშვიდობისმყოფელი, რომლებსაც სატვირთო ავტომანქანით გადაჰქონდათ 35 ყუთი იარაღი აფხაზეთიდან დასავლეთ საქართველოს დასახლებულ პუნქტ ურტაში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, რომ სამშვიდობოებს ასეთი სამხედრო იარაღი არ უნდა ჰქონდეთ. ქართულმა ტელეკომპანიებმა გაავრცელეს სამშვიდობოების დაკავების კადრები: ისინი გადმოჰყავდათ მანქანებიდან და აწვენდნენ მიწაზე, უგრეხდნენ ხელებს და ართმევდნენ ავტომატებს. ზუგდიდში ჩამოვიდნენ სამშვიდობოების ხელმძღვანელი გიორგი გარამიძე. მიხეილ სააკაშვილი კი აპირებს შემდეგ კვირაში გაემგზავროს გერმანიაში.

საქართველო ცდილობს დაარწმუნოს მსოფლიო თანამეგობრობა იმაში, რომ მეტად აღარ ენდობა რუსეთს, თავის ტერიტორიაზე კონფლიქტებში შუამავლის როლში რომ გამოდის. „რუსთავი-2“-სათვის მიცემულ ინტერვიუში გატონმა სააკაშვილმა თქვა, რომ მაისში აფხაზეთში რუსი სარკინიგზო ჯარების შეყვანით რუსეთმა დაიწყო „ფართომასშტაბიანი ინტერვენციის განხორციელებისათვის მზადება“, რათა რუსული ტანკები გადასროლილი იქნენ მდინარე ენგურზე, საქართველოსა და აფხაზეთის ულიარებელი რესპუბლიკის საზღვარზე.

საქართველოს პოლიციამ ზუგდიდის რაიონში დააკავა 14 რუსი მშვიდობისმყოფელი, რომლებსაც სატვირთო ავტომანქანით გადაჰქონდათ 35 ყუთი იარაღი აფხაზეთიდან დასავლეთ საქართველოს დასახლებულ პუნქტ ურტაში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, რომ სამშვიდობოებს ასეთი სამხედრო იარაღი არ უნდა ჰქონდეთ. ქართულმა ტელეკომპანიებმა გაავრცელეს სამშვიდობოების დაკავების კადრები: ისინი გადმოჰყავდათ მანქანებიდან და აწვენდნენ მიწაზე, უგრეხდნენ ხელებს და ართმევდნენ ავტომატებს. ზუგდიდში ჩამოვიდნენ სამშვიდობოების ხელმძღვანელი გიორგი გარამიძე. მიხეილ სააკაშვილი კი აპირებს შემდეგ კვირაში გაემგზავროს გერმანიაში.

საქართველო ცდილობს დაარწმუნოს მსოფლიო თანამეგობრობა იმაში, რომ მეტად აღარ ენდობა რუსეთს, თავის ტერიტორიაზე კონფლიქტებში შუამავლის როლში რომ გამოდის. „რუსთავი-2“-სათვის მიცემულ ინტერვიუში გატონმა სააკაშვილმა თქვა, რომ მაისში აფხაზეთში რუსი სარკინიგზო ჯარების შეყვანით რუსეთმა დაიწყო „ფართ

ტრანსპორტი

„ელიტა“ მომხმარებელს ელიტურად მოემსახურება

თბილისის აეროპორტს ქართულ-ამერიკული წარმოების ახალი ბიზნესთვითმფრინავი შეემატა

თბილისის საერთაშორისო პრესცენტრ „რიას ნოვოსტში“ამერიკული კომპანია „EPIC“-ის პრეზიდენტის დადრექტორის რიკ შრამეკის და სს „თბილავიამშენის“ ერთობლივი პროექტის – რვაადგილიანი ბიზნეს-თვითმფრინავის პრეზენტაცია გაიმართა.



პანტიკო თორდია

– რამდენიმე ქვეყანაში ვიმოგზაურე, რომ მეპოვა თვითმფრინავის სხვადასხვა ნაწილების, მაგალითად, შასეების მომწოდებელი, – თქვა რიკ შრამეკმა, – აღმოჩნდა, რომ საქართველოში დამზადებული პროდუქციის ხარისხი მაღალია და არჩევანიც მასზე, შევაჩერე, გარდა ამისა, ამ ერთობლივი პროექტის შემუშავებაში გატონ პანტიკოსთან და მის ქალიშვილთან მეგობრობამაც იქონია გავლენა.

ქართულ-ამერიკული კომპანიის თანამშრომლობით შეიქმნა ახალი, კომფორტული ბიზნეს-თვითმფრნავი, რომელიც საქართველოში იწარმოება. ამერიკაში სამ-ოთხწლიანი მუშაობით მივიღეთ ქართველი და ამერიკელი ინჟინრების მიერ დაპროექტებული თვითმფრინავი „ელიტა“. იგი ააგეს ქართველმა მუშებმა, რომლებიც ამერიკაში დაახლოვდნენ და სათანადო სერთიფიკატიც იქ მიიღეს.

ახალი თვითმფრინავი, გარდა იმისა, რომ კომფორტულია, მსოფლიოში არსებული სხვა თვითმფრინავებისგან მეტი სიჩქარით და მაღალი ფრენით გამოირჩევა. მისი სიჩქარე საათში 750-770 კილომეტრია ფრენის სიმორე კი – 2100 კილომეტრი.

– ეს არის რეაქტიულძრავებიანი ბიზნესთვითმფრინავი, რომელიც ძირითადად ჰირადი მოხმარებისთვის არის გათვალისწინებული. ჩვენ ვმონაწილეობდით ამერიკის ქალაქ ოშკში გამართულ მცირე ავიაციის მწარმოებელთა გამოფენაზეც. შარშან მოსკოვის გამოფენაშიც გვინდოდა მონაწილეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარით. ახლა ეს თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დგას და სამ დღეში გაივლის ტესტირებას. ამის შემდეგ ვიმუშავებთ სერტიფიკატზე, რომლის მილებას, ალბათ თვენახევარი დასჭირდება, – განაცხადა პანტიკო თორდიამ.

მისივე თქმით, თვითმფრინავი სერტიფიცირებას რუსული პროგრამით გაივლის, რადგან ამის ევროპული და ამერიკული პროგრამით გაკეთება უფრო ძვირი ჯდება. როგორც ბატონმა პანტიკომ თქვა, თვითმფრინავი ამერიკაში დამზადებული კომპოზიციური მასალებისგან არის აწყობილი, ძრავაც ამერიკულია. ტრადიციული ლითონი მცირე ოდენობით არის გამოყენებული.

„ელიტა“ აპირებს, კონკურენცია გაუწიოს ისეთ კომპანიებს, როგორებიც არიან „სესნა“, ბრაზილიური კომპანია „ემბრაერი“ და „ეკლიპსი“, – ჩვენს თვითმფრინავს მეტი კარგი თვისება აქვს, გარდა იმისა, რომ უკეთ გამოიყურება, მეტი ხალხის გადაყვანა შეუძლია და ნაკლებ ხარჯიანიც არის, მათთან შედარებით მეტი სიჩქარეც აქვს. რატომ არ უნდა გაუწიოს კონკურენცია?! – ამბობს რიკ შრამეკი.

რაც შეეხება თვითმფრინავის ფასს, იგი 2,8 მლნ დოლარი ღირს და ერთ მილზე ერთი ადამიანის გადაყვანა, როგორც რიკ შრამეკმა თქვა, ერთი დოლარი დაჯდება.

მადონა ფიფია

მორფეუსის ოინები

ცუდი სიზმრის „გაცილება“

1. გახსენით წყლის ონკანი, მოდენილ წყალს თქვენი ცუდი სიზმარი მოუყევით, მოყოლას რომ მორჩებით, სამჯერ გაიმეორეთ: „ღამე წავიდა, სიზმარი გაიყოლა“.

2. რამდენიმე ღერი თმა წაიჭერით და მდინარეში ჩააგდეთ ისე, რომ დინებას გაყვეს. თუკი მდინარე ახლოს არ არის, მაშინ ონკანის წყალიც გამოდგება.

3. ხუთშაბათიდან პარასკევის ღამეს დასიზმრებული ცხადდებაო, ძველად ასე იტყოდნენ ხოლმე. კვირის სხვა ღამეებში დასიზმრებულ ცუდ სიზმრებზე შეგიძლიათ არ იდარდოთ – ისინი მაინც არ ახდება.

4. ნურავის ნურაფერს ნუ მოუყვებით, ცუდი, საშინელი, საზარელი სიზმარი ყველას დაუმალეთ, მაშინ ავი სულები მის შესახებ ვერაფერს შეიტყობენ და, შესაბამისად, ვერც აგიხდენენ.

5. ღამის მოტანილი ცუდი სიზმრისა და წინათგრძნობის თავიდან აცილების ყველაზე თანამედროვე და, ვიტყოდით, მოდური ხერხია – „ღამის კინოსეანსის“ ხელით ჩაწერა და ფურცლის საფერფლეში დაწვა.

დახლი

რჩევები მომხმარებლებს

სწრაფად გაყინული კატლეტები რამდენადმე განსხვავდება იმათგან, საკულინარიო მაღაზიებში რომ იყიდება და, მით უმეტეს, საოჯახოებისგან. მომხმარებლისთვის ხშირად გაუგებარია, თუ რისგან არის ისინი დამზადებული და რომლის არჩევაა უმჯობესი? მომხმარებელს ვურჩევთ სცადოს შეფუთვაზე წარწერიდან რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია „ამოწუროს“.

● ერთი შეხედვით ძნელია იმის გარკვევა, თუ რისგანაა დამზადებული საქონელი. მაგალითად, ინდაურის ხორცის კატლეტს შეიძლება ქათმის ხორცი ძონდეს შერეული. მეტიც: ზოგჯერ მას შეიძლება ლორიც ჰქონდეს დამატებული. ინფორმაცია მნიშვნელოვანია არა მარტო მათთვის, ვინც მსუბუქ საჭმელს ამჯობინებს, არამედ მისთვისაც, ვინც საერთოდ არ მიირთმევს ღორის ხორცს (ვთქვათ, რელიგიური მოსაზრებითაც).



● ყველა ინგრედიენტი დასახელებული უნდა იყოს მის ოდენობის კლებისდა მიხედვით. მაგალითად, თუკი შემადგენლობის ჩამონათვალში წერია: „ინდაურის ხორცი, ღორის ლორი, ქათმის ხორცი“, მაშინ ინდაურის ხორცი რეცეპტში ღორის ლორსა და ქათმის ხორცზე მეტი უნდა იყოს, ხოლო ღორის ლორი – ქათმის ხორცზე მეტი.

● ხორცს ხშირად მცენარეულ ან ცხოველურ, მაგრამ უფრო ხშირად სოიოს ცილას უმატებენ. იგი არა მარტო უფრო აიაფებს საქონელს, არამედ შეარშს სიმკვრივესა და წვნიანობასაც უმატებს.

● კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია კალორიულობა, რომელსაც, სამწუხაროდ, ხშირად არ უთითებენ. მაგრამ მისი გამოანგარიშება, საქონლის კვებითი ღირებულებებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლადაცაა შესაძლებელი. საამისოდ, დაავჯამეთ ცილებისა და ნახშირწყალბადების რაოდენობა, ჯამი 4-ზე გადაამრავლეთ და მიუმატეთ 9-ზე გამრავლებული ცხიმის რაოდენობა. ასე შეძლებთ ყოველ 100 გრამ საქონელზე კილოკალორიების ოდენობის დადგენას და ამით დარწმუნდეთ, რომ თქვენს მიერ დაწესებულ ნორმას არ გადააჭარბეთ.

● რაც უფრო გუნებრივია შემადგენლობა, მით უფრო ნაკლებია საკვები დანამატი და ეს, ცხადია, გაცილებით უკეთესია. კერძოდ, E 621, E 627 და E 631 (ასევე ნატრიუმის გლუტამატიძ სურნელებისა და გემოს გამაძლიერებელებია; 150 – შაძრის კოლერია (მლებავიძ; E 450 – პიროფოსფატებია (სიმჟავის ემულგატორი, სტაბილიზატორი და რეგულატორი, ამასთან ტენის დამჭერი აგენტიაძ, თუმცა მათ გარეშეც ხომ მშვენივრად ვახერხებთ ოჯახში კატლეტის დამზადებას!

გოლო რჩევა უსაფრთხოებას ეხება. აუცილებლად მიაყურეთ დამზადების თაობაზე მწარმოებელთა რჩევებს (ისინი ყველა შეფუთვაზეა მითითებული. რა ხარისხისაც გნებავთ იყოს საქონელი, იგი ყოველ მიზეზ გარეშე გოლომდე უნდა შეიწვას, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს მოწამვლის საშიშროება. გარდა ამისა ნუ დაგავიწყდებათ, რომ კატლეტი მხოლოდ ერთხელ შეიძლება გაიყინოს. ამის შემოწმება ვიზუალურად შეიძლება: კატლეტი კოხტა ფორმისა უნდა იყოს და ერთმანეთს არ უწებებოდეს.

უცხოური პრესის მიხედვით

უსტარი

ო, ძვირფასო გზებო!..

წერილად რომან დალაქიშვილს

ერთი ჩემი ძველი ლექსი ამბობს: „გზებო, გზებო, რად ღირს თქვენთან ხეტიალი, როცა მეგობარი ქვეყნად მეტი არი; როცა სიყვარული ქვეყნად მეტი არი, მშვენიერო გზებო,რად ღირს ხეტიალი“.

ჰოდა, აი, გუშინ, ზემოაჭარის ჩემი სოფლიდან გათუმისკენ რომ დავეშვი, დაფეხვილ-დატეხილ-დავჯევჯგვილ შარაგზაზე (განსაკუთრებით ძველიდან ერგემდეძ ისე დამეჩაგრა გული, ვთქვი, – მეგობარიც, სიყვარულიც, მადლობა გამჩენს, – ჯერ კიდევ მეგულება გლომად ჩვენში, მაგრამ გზები?!

და, მეგობართა შორის, მაშინვე მომაგონდა, ყოფილი ჩემი თანაპარლამენტარი, დღეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავკაცი, მართლაც მოუსვენარი ახალგზათმშვინი, გატონი რომან დალაქიშვილი.

ძვირფასო რომან, უნდა გაგიმხილოთ, – ამას წინათ, 17 მაისს, თანასოფლელთა ინიციატივით ჩემს ეზოში გამართულ ჩემს დღეობაზე თქვენი მოწვევაც ვიწადინე, მაგრამ ჭოროხ-აჭარისწყლის ხეობის გზებზე საჯაჯგურად ვერ გაგიმეტეთ.

გაგიმხელ: შემშურდა (არა „მწუხარებით სხვისა კეთილსა ზედა“ძ გურულებისა. ამას წინათ ოზურგეთ–ჩოხატაურის გამოვლით ვიმგზავრე. რა მშვენივრად გაგიპენკინებიათ და მოგირთავთ გარდიგარდმო ეს გზა! მშურს, სამეგრელოსკენ ახალგაზვარადინებულ გზებს რომ ვხედავ. მშურს ახალციხე–ადიგენ–აბასთუმნისკენ გამოფხანდაზებული გზის გამოც. ეჰ, – ვფიქრობ, – რა იქნებოდა ის გზა ადიგენიდან გოდერძისკენაც გაგრძელებულიყო?!

მიხარია თბილისიდან გორისკენ და, ალბათ, სამერმისოდ, ჩვენს ზღვისპირამდეც რომ მიგყავთ, ახალი, საერთაშორისო დონის შარაგზა.

ძვირფასო ჩვენებურო, ბატონო რომან, – რა აუცილებელია ზემდგომთ შუამდგომლობა. ის ხელის უფალია, მწერალი კი – სულის უფალი: – მე, ფრიდონ ხალვაში, გთხოვ, თქვენებური გულით, ძმურით, შემოიხედეთ ჭოროხ – აჭარისწყალის ხეობებისკენ! ის გზები, სისხლიან საუკუნეებში გამოვლილი დანდალო – ხიჭაურ – ხიხანის მკერდშენგრეული, მაგრამ მაინც ჯერაც ამაყად მდგარი ციხე-კოშკებისკენ, თამარის ხიდებისკენ, ოთხასი წლის შემდეგ გამოღვიძებული ტაძრებისკენ და იქ ახმოვანებული გადარჩენილი ქართული სიტყვისკენ წაგიყვანთ.

კი, რამდენიმე წლის წინათ გამოსიკეთებული მონაკვეთები არის,მაგრამ მე ერგე-ქედის და, განსაკუთრებით, მისახედ ზამლეთ – ხიხაძირის მონაკვეთებზე ვჩივი.

რა ტკივილები და რა სიხარულებია იმ მოწყენილ, ხანდახან კი „განდაგანასავით“ მომხიბლველად დარწეულ მთახევხუებში. გოდერძის ულელტეხილით მესხეთს გადასვლა ხომ უმოკლესი გზაა თბილისამდე, გოდერძი კი, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი შენიშნავს „არსენაში“, იმ ლეგენდარული პოეტის სახელია, რომელმაც, ალბათ, ჩვენებურ შუა საუკუნეებში უგადლო „გალადა ვეფხვისა და მოყმისა“ შეძმნაო.

ამას წინათ მომახარა ვიღაცამ, – პრეზიდენტმა გრძანაო, გოდერძის მთაში გვირაგიც უნდა გავიყვანოთო. მარტო ამ თქმისთვისაც ვმადლობ. ხომ იცით რამდენი ასეული ოჯახი დამკვიდრდა აჭარიდან მესხეთის მიწაზე და რამდენი ქართული სკოლა აჭრიამულდა იქა?!

ძმაო, რომან, რა სილრმის რომანები შეიძლება დაიწეროს იგივე აბუსერიძე ტბელზე, რუსთაველის თანამედროვე დიდ ასტრონომ-განმანათლებელზე, აჭარის ერისთავზე, სხალთა – თხილვანის ტაძართამგებზე, გზა ხეირიანი რომ იყოს. ხოლო, სოფელ გაკოში, სადაც ამას წინათ, ჩვენი მწერალ-მეცნიერის თემური კომახიძის წყალობით, ოსმალოთა მიერ სელიმ ხიმშიაშვილის დასჯის ალაგას ძეგლი დაიდგა, სხვა გულისშემძვრელი სანახებია. იქ, თავის მოკვეთის წინ, სხვათა შორის, სელიმმა ჯალათს უთხრა: – ჩემს სხეულს ჩემი თავი რომ მოაცილოთ არ არის ძნელი, მაგრამ საქართველოს სხეულს აჭარა არასდროს არ მოსცილდებაო.

გაისად, 17 მაისს, იმედია, ზემოაჭარისკენ ისეთი შარაგზა გვეძნება, გატონო ჩემო, რომან დალაქიშვილო, რომ გავბედავ თქვენც დაგპატიჟოთ გეგელიძეებში „ფრიდონობაზე“.

თქვენი
ფრიდონ ხალვაში
18.06.08.

◎ ევრო – 2008

ასე იყო, ასე არის და...

როგორც მოგეხსენებათ, 1941 წლის 22 ივნისს დიდი სამამულო ომი დაიწყო. წლეულს ამავე დღეს ახალი ომი არა, მაგრამ მძაფრი ბრძოლა კი გაიმართება – ვენის ერნსტ ჰაპელის სახელობის სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ერთმანეთს იტალიისა და ესპანეთის ეროვნული ნაკრებები შეხვდებიან.

ლუის არაგონესის გუნდის მიერ ჯგუფურ რაუნდის ია-ვარდით მოფენილ გზაზე კარგად არის ინფორმირებული ჩვენი მკითხველი, ამიტომ ამჯერად მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთა თავგადასავალზე შევჩერდეთ.

როგორც ყოველთვის, „სკუადრა აძურა“ მძიმედ ჩაება ტურნირში. მეტიც – ჰოლანდიელებთან მარცხისა და რუმინელებთან ზავის შემდეგ იგი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. თუმცა, ტრადიციისამებრ, მაინც უშველა თავს, რაშიც მნიშვნელოვანწილად ხელი „ნარინჯისფერებმა“ შეუწყვეს კარპატელთა ძლევით – 2:0 (ჭუნტელარი, ვან პერსიძ. ადვილი შესაძლებელია, ერთერთი მთავარი კონკურენტისთვის გაწეული დახმარება მარკო ვან გასტენის შეგირდებს სანანებელი გაუხდეთ, მაგრამ საკუთარ ნამუსთან ისინი პირნათელნი არიან, რაც, დაგვეთანხმებით, ღირსებას მატებთ.

ისე, არც თვით აპენინელთა მიერ წარმატებით გადადგმული უკანასკნელი ნაბიჯი უნდა დავივიწყოთ. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებთან-ფრანგებთან მოპოვებული გამარჯვება – 2:0 (პირლო – პენალტით, დე როსიძ, ვფიქრობთ, იტალიელებს საკუთარი ძალების რწმენას დაუბრუნებთ.

დავძენთ, რომ „სამფეროვნები“ რიბერის მიერ მე-10 წუთზე მილებულმა მძიმე ტრავმამ და აგიდალის უხეშობამ დაალალატა. იგი სლოვაკმა მსაჯმა მიხელმა უკვე 25-ე წუთზე გააძევა მინდვრიდან.

◎ კალათბურთი

მეჩვიდმეტე გაელვება

„ბოსტონ სელტიქსი“ მეჩვიდმეტედ გახდა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ჩემპიონი. ამ გუნდმა ფინალური სერია საერთო ანგარიშით 4:2 მოუგო ფავორიტად მიჩნეულ „ლოს-ანჟელეს ლეიკერსს“. განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახლდათ გადამწყვეტ შეხვედრაში საკუთარ სარბიელზე მოპოვებული გამარჯვება – 131:92, რაშიც განსაკუთრებული წვლილი რეი ალენმა და კევინ გარნეტმა შეიტანეს 26-26 ქულით.

მაინც, რამ განაპირობა კალიფორნიელთა მარცხი, დაგაინტერესებთ ალბათ. აღნიშნული საიდუმლო ადვილი ასახსნელია – ტრიუმფატორებმა წარმატებით გადაჭრეს მრისხანე მეტოქის სნაიპერის კობი ბრაიანტის ნეიტრალიზების საკითხი, მის პარტნიორთაგან კი ლიდერობა ვერავინ იტვირთა.

◎ ჭადრაკი

საგზურები გაინაწილეს

სხვადასხვა რეგიონის 120-ზე მეტი მოჭადრაკე მონაწილეობდა საქართველოს თორმეტწლიანთა პირველობაზე, რომელიც შესარჩევი ტურნირიც იყო.

გოგონებში ცხრა შესაძლებლიდან 8 ქულით ჩემპიონობა დეა გოგიშვილმა მოიპოვა. შვიდი ქულით ვერცხლის მედალი ანა შაფათავამ დაისაკუთრა. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეოთხე. ადგილები, შესაბამისად, თეკლა მაჭარაშვილმა და ნატო იმნაძემ გაიყვეს.

ძალიან საინტერესო გამოდგა ვაჟთა ტურნირი, რომელიც, ირაკლი გერაძემ, იოლად, მოიგო. მან მხოლოდ ერთი პარტია დაამთავრა ყაიმით, დანარჩენებში კი გაიმარჯვა. მეორე ადგილისთვის ბრძოლაში გიგლა გენიძემ მეოთხე ტურში ონელ უჩა მღვდელაძეს სძლია და საბოლოოდ „ვერცხლსაც“ უწია, რამაც ევროპისკენ გაუკაფა გზა. მღვდელაძე ბოლო ტურში ყაიმს დასჯერდა და სა-

ბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა. 7 ქულით მესამე ადგილი ნიკოლოზ ჯუმსიაშვილს ხვდა.

ჩემპიონები – გოგიაშვილი და გერაძე მსოფლიო პირველობაზე ითამაშებენ, ვერცხლის მედალოსნები – შაფათავა და გენიძე კი ევროპელ თანატოლებს შეეჯიბრებიან.

◎ ტურნირი

ჰიჯული დიდოსტატის ხსოვნისა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში პირველი ქართველი დიდოსტატის გუხუტი გურგენიძის ხსოვნას მიეძღვნა გლიცტურნირი, რომელშიც 71 ქალ-ვაჟი მონაწილეობდა, მათ შორის – 12 დიდოსტატი და 14 საერთაშორისო ოსტატი.

ცხრა შესაძლებლობიდან 8 ქულით გაიმარჯვა შოთა აზალაძემ, რომელსაც საპრიზო ფონდიდან 400 ლარი ხვდა. მას თითო ქულით ჩამორჩნენ და დამატებითი მაჩვენებლებით მეორე-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, ლევან ფანცულაიამ, მერაბ გაგუნაშვილმა და მიხეილ მჭედლიშვილმა გაინაწილეს. ფულადი ჯილდოები კი მხოლოდ ფანცულაიას (300 ლ.ძ და გაგუნაშვილს (200 ლ.ძ ერგო.

ქალებში 6,5 ქულით პირველობა ფიდეს ოსტატმა ქეთი წაწალაშვილმა (200 ლ.ძ მოიპოვა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე იყო დიდოსტატი გელა ხოტენაშვილი (150 ლ.ძ, მესამე ადგილზე კი 6 ქულით დიდოსტატი მაკა ფურცელაძე (100 ლ.ძ გავიდა.

◎ ინტერნეტიდან

ოპერა დაიჩაგრა

მუსიკის დედაქალაქში სახელგანთქმული ვენის სახელმწიფო ოპერა იძულებული გახდა, გადაედო ერთ-ერთი თავისი წარმოდგენა მაყურებელთა დაბალი ინტერესის გამო.

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საოპერო თეატრისადმი ინტერესის დაცემას ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატს უკავშირებენ. ჩვეულებისამებრ ვენის ოპერის ყველა სპექტაკლი ანშლაგით მიდის, მაგრამ ევრო – 2008-ის მიმდინარეობისას მუსიკით დატკბობის მსურველთა ნაკადმა მნიშვნელოვნად იკლო. მხოლოდ ჯუზეპე ვერდის ოპერა „ბედის ძალების“ წარმოდგენაზე, მისი პრემიერა კი 1მარტს გაიმართა, გაუყიდავი დარჩა ბილეთების 29 პროცენტი.

ზედმეტი ბილეთის პრობლემა ალბათ ჯერჯერობით არ იძნება კონტინენტის პირველობის დამთავრებამდე. 29 ივნისს ვენაში უნდა გაიმართოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი. თეატრმა გადადო ამ დღისთვის დანიშნული გალეტის საღამო.

თეატრის წარმომადგენლის განცხადებით, მათ პოტენციურ მაყურებლებს ეშინიათ ქუჩაში ფეხბურთის გულშემატკივართა მასებთან შეხვედრისა.

ევრო – 2008-ის მსხვერპლნი

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას უკვე გარდაიცვალა სამი გულშემატკივარი.

ავსტრიის ტელევიზიის ცნობით, ორშაბათს, ეგრეთ წოდებულ „ფან-ზონაში“, ქალაქის რატუშასთან რომ მდებარეობს, უზარმაზარ ტელეეკრანთან, გერმანია – ავსტრიის მატჩის დროს ინფარქტით გარდაიცვალა 20 წლის ავსტრიელი ქალიშვილი. თუმცა „სასწრაფო დახმარება“ ქალიშვილის უგონოდ დაცემიდან ერთ წუთში მივიდა, მაგრამ იგი ვერ გადაარჩინეს.

სამშაბათს ღამით ავტომანქანა, რომლითაც ორი გერმანელი გულშემატკივარი მატჩიდან ბრუნდებოდა, გაურკვეველი მიზეზით გზის გამყოფ ბორდიურს შეასკდა, შემდეგ კი მას პოლონელების ჯიპი დაეჯახა. დაიღუპა პირველი მანქანის 28 წლის გერმანელი მძღოლი, მისი თანამგზავრი კი მძიმედ დაშავდა. 4 პოლონელმა მსუბუქი ტრავმები მიიღო.

ავსტრიული პრესის ცნობით ქალაქ კლაგერფურტში გარდაიცვალა ხორვატი გულშემატკივარი.

მძიმე დარტყმა ბერძენ ძალოსნებს



თერთმეტი ბერძენი ძალოსანი დოპინგის გამო დისკვალიფიცირებულია ორი წლით – ეს განაცხადა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IWF).

ბერძნული ნაკრების თოთხმეტი წევრიდან თერთმეტი დოპინგზე გამოიჭირეს მარტში მოულოდნელი დოპინგ-კონტროლის დროს. ამის გამო ბერძნულმა პროკურატურამ დაადანაშაულა 25-კაციანი ჯგუფი, ეროვნული გუნდის დიდი ხნის მწვრთნელის ქრისტოს იაკობის ჩათვლით.

ამავე დროს ფედერაციის კომიტეტმა, რომლის სხდომა კოლუმბიაში გაიმართა, პეკინის ოლიმპიადაზე ბერძნეთის კვოტა 8 კაციდან 4-მდე შეამცირა (სამი მამაკაცი და ერთი ქალიძ.

ამასთან დაკავშირებით გადადგა ფედერაციის გენერალური მდივანი, ბერძენი იანის სგურიასი, თუმცა აღმასკომმა მისი განცხადება არ დააკმაყოფილა.

ბოლო 16 წელიწადში ბერძენმა ძალოსნებმა მოიპოვეს 12 ოლიმპიური მედალი და სხვა შეჯიბრებების ასობით მაღალი ჯილდო.

მკერდი არ ადასტურებს

ამას წინათ პრესამ ძალზე აცინა კალათბურთელ ტონი პარკერის ცოლის, სერიალის „სასოწარკვეთილი დიასახლისებისა“ მთავარი გმირის ევა ლონგორიას სტილისტი რობერტა ვერდი. მან ასეთი კომენტარი გაუკეთა ევას ფეხმძიმობაზე გავრცელებულ ჭორებს – ეს ხომ მის მკერდს შეეტყობოდაო.

ხმები, თითქოს ვარსკვლავთ ოჯახში მალე ნამატი იქნებოდა, დაჟინებით ვრცელდებოდა, მაგრამ მას ხომ დამტკიცებაც უნდოდა. ჭორების ბოლო ტალღა მას შემდეგ

აგორდა, როცა ლამაზმანი მსახიობი ნიუ-იორკის ერთ-ერთ მაღაზიაში შილიფი კაბით იხილეს.

„მე მისი გინეკოლოგი როდი ვარ, მაგრამ მისი სტილისტი ხომ ვარ, – ღიმილით ამბობს რობერტა ვერდი – ჩემი სამუშაოს წყალობით მას ხშირად ტიტველს ვხედავ. მე ვნახე მისი მკერდი. ის ფეხმძიმედ რომ ყოფილიყო, პირველ რიგში მკერდზე შეეტყობოდა. მაგრამ ეს ასე არაა!“

◎ კინო

კანიდან გადადგმული ნაბიჯი

სხვა დროსაც გვითქვამს – სად გინდა, რაში გინდა, „ჩვენი გორისა“ რომ არ გაერიოსო. ესეც ქართულ ხასიათშია – ზოგჯერ ჩვენს კანში რომ ვერ ვეტევით და შეიძლება კანში ამოვყოთ თავი... მორიგ საერთაშორისო კინოფესტივალზე. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ ასეთ „ამოყოფას“ რა სჯობს...

არადა ამ სახელგანთქმულ კინოფორუმს მრავალი წელია, სამამულო კინემატოგრაფი დუმილით „უვლიდა გვერდს“; და აი, 15 წლის შემდეგ ქართული კინოც ნახეს ლაჟვარდოვან სანაპიროზე: რეჟისორმა ვანო გურდულამ საკუთარი ინიციატივით ჩაიტანა და ფესტივალის კრიტიკის კვირეულზე უჩვენა მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გრაფიტი“, ხოლო რეჟისორ გაკურ გაკურაძის ნამუშევარი „შულტესი“, როგორც რუსეთიდან შერჩეული სურათი, „სარეჟისორო ორკვირეულზე“ იყო დემონსტრირებული („შულტესზე“ უკვე წერდა ჩვენი გაზეთიც. გარდა ამისა, ფრანგული მხარის მიწვევით ყოველწლიურ სპეციალურ სამუშაო კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი რეჟისორები და პროდიუსერები თამარ სულამანიძე და თინათინ ყავზრიშვილი.

...თითქმის მთელი მსოფლიოს წარმომადგენელი ქვეყნების პავილიონების გვერდით კანის წლევანდელ კინოფესტივალზე ქართული დელეგაციის კარავიც გაიშალა. წლეულს ქართულ კინოს, როგორც ცნობილია, 100 წელი შეუსრულდა. კანში ჩვენმა დელეგატებმა მისი ისტორიისადმი მიძღვნილი კატალოგები და ბუკლეტები ჩაიტანეს.

– ქართული ფილმები იციან და უყვართ ევროპაში, რასაც ვერ ვიტყვით ამერიკაზე. ისეთი ქვეყნებიც კი არიან, სადაც საერთოდ არცრა სმენიათ ქართულ კინემატოგრაფზე, – ამბობს თინათინ ყავზრიშვილი, – ამიტომ ახალ გაზრებზე შელწევამდე აუცილებელია რუსეთსა და პოსტსაბჭოურ სივრცეში კავშირების შენარჩუნება. ჩვენთვის მახლობელი არაერთი თემა ევროპელი ან ამერიკელი მაყურებლისაგან ვერ აღიძრება იმათი მენტალიტეტის გამო, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებშიც ადამიანები საერთო სულიერ ღირებულებებზე (და ერთიანის სასკოლო პროგრამითაც კი იზრდებოდნენ) ერთსა და იმავე ფილმებს უყურებდნენ...

თამარ სულამანიძე და თინათინ ყავზრიშვილი

საქართველო, პირველ რიგში, საინტერესო მოედანს წარმოადგენს გადაღებებისათვის, – განაგრძობს ქალბატონი თინათინი. – შედარებით მცირე ტერიტორიაზე შეგხვდებათ ცივილიზებული ქალაქებიცა და ყრუ, მიტოვებული სოფლებიც, ზღვაცა და მთებიც, ველური ბუნების ყოველგვარი ლამაზი ლანდშაფტიც. ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით ჩვენსას იაფი ფასებიც გამოარჩევს. რაც ქართულ კინოინდუსტრიას აკლია – ეს არის ამ სფეროს გამართული განვითარება, გადასახადების შემსუბუქებული სისტემა, სახელმწიფო კინოფონდები. ასეთი, თუნდაც კინოგიუჯეტისათვის მიზერული თანხების – თუნდაც რამდენიმე ათასი დოლარის წყალობით, გაჩნდებოდა და დახმარება საქართველოს რეგიონების ინფრასტრუქტურის განსავითარებლად, მაღალ დონეზე კინოინდუსტრიის ასაწევად. რა დასამალია, რომ გევრი რეჟისორი თუ პროდიუსერი მსოფლიოს სამოგზაუროდ კი არაა მოდებული, არამედ გადაღებებისათვის შესაფერისი ტერიტორიათა მოსაძიებლად.

კანში შეხვედრებისას ქართველმა დელეგატებმა მოახერხეს მოლაპარაკებები საფრანგეთსა და კანადის რამდენიმე კინოპროექტის ავტორებთან. კერძოდ, „ფენტეზის“ (ფანტასტიკური სურათის შემოკლებული სახელი, აგრეთვე მსოფლიოში პირველი კინოთეატრების შესახებ დოკუმენტური ლენტის გადაღებები, შესაძლოა, ქართულ ქუჩებზე ან ჩვენი მთებისა თუ შმაგი მდინარეების ფონზე გაიმართოს.

ერთ-ერთი შეხვედრისას მიროსლავ ციბკომ, რომელიც რუსეთის კინოგაზრის კვლევითაა დაკავებული, აღნიშნა, რომ იქ არ სჭირდებათ ჰოლივუდური ყაიდის ქართული ფილმები. თბილი იუმორი, ლირიზმი, ცრემლნარევი სიცილი, სურათების მაღალი მხატვრული და მუსიკალური გაფორმება – აი რას ელიან დღეს ქართული კინოსაგან ჩრდილოურ კინოგაზარზე (მკითხველს შევახსენებთ, რომ ჩამოთვლილი კომპონენტები, თუ გნებავთ, ნიშნები, უხვად ახლავს, მაგალითად, გიორგი დანელიასა და ელდარ შენგელაიას ცნობილ ფილმებს – **თ. ე.**ძ.

თამარ სულამანიძისა და თინათინ ყავზრიშვილის მიერ კანში ჩატანილ კინოპროექტებს შორისაა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „განქორწინება ქართულად“, რომლითაც რუსეთში უკვე დაინტერესდნენ და გადაღებების წარმოება რუსეთული მხარის მონაწილეობითაა განზრახული. სურათი ოთხი ნოველისაგან შედგება, სადაც სრულიად სხვადასხვა ხნოვანების, მენტალურობისა და ცხოვრების დონის გმირები ერთსა და იმავე ტრაგედიას განიცდიან, თან ყოველი მათგანი თავისებურად.

...როგორც გამოირკვა, ჩვენს ქალბატონ პროდიუსერებსა და რეჟისორებს არ გასჭირვებიათ კანის 61-ე ფესტივალზე მოხვედრა. მათი ახალი კინოპროექტი „ერთი ბანკის ისტორია“ ორგანიზატორებმა 50 ნამუშევრიდან შეარჩიეს და ყველაზე საგუნდსყუროთა შვიდეულში მოაქციეს. რასაკვირველია, ეს ქართული კინოს კიდევ ერთი თავისებური წარმატებაა.

წლევანდელი კანის ფორუმი საქართველოსათვის მსოფლიო კინოსთან შემხვედრი ნაბიჯი გამოდგა. ამ სამყაროს კარი მუდამ ღიაა ნიჭიერი ადამიანებისათვის, ასეთები კი, როგორც ყველამ ვიცით, ჩვენს ქვეყანას არ გამოლევია.

რუსული პრესის მიხედვით

◎ ჩვენებურებზე

ლეო ბოკერიას „გასტროლები“ მოსკოვის დიდ თეატრში

რუსეთის დედაქალაქში მცხოვრებმა სახელგანთქმულმა მკურნალმა ლეო ბოკერიამ დიდი თეატრის დირექტორის იჯანაღის თხოვნით უნიკალური ლონისძიება მოაწყო თავის ბაკულევის სახელობის კარდიოქირურგიის ცენტრთან ერთად: „თეატრალურ“ პირობებში 2 ათასი თანამშრომლის სამედიცინო შემოწმება.

რამდენიმე დღეში 700-მდე კაცი გამოიკვლიეს და არასანუგეშო სურათი გამოავლინეს: 300-ზე მეტს სერიოზული დახმარება სჭირდება, კერძოდ, სტაციონარულიც... „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ ჟურნალისტი გზად შემხვდარი ცნობილი ტენორის ზურაბ სოტკილავას ჯანმრთელობით დაინტერესდა.

– ვარ, რა, ნელ-ნელა. გულის უკმარისობა მძონდა, 60-პროცენტიანი, ოპერაცია გამიკეთეს. უკვე ორ კვირაში დავიწყე სიმღერა. საერთოდ კი თურმე 2-3 წელი დამჭირდება ფორმაში ჩასადგომად... აგერ, ჩხვლეტებს ვიტარებ სისხლის გასათხევადებლად, ყოველდღე 40 წუთს ველოსიპედზე ვზივარ, თუმცა, რომ შემხედო, არ მეტყობა...

◎ ინფორმაცია

აღინიშნება ლტოლვილთა საერთაშორისო დღე

20 ივნისს ლტოლვილთა საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ანტონიუ გუტერიშის მიმართვა გავრცელდა.

კომისარი ყურადღებას ამახვილებს ახალ რეალობებზე და აცხადებს, რომ დღეს მსოფლიოში ადამიანთა გადაადგილების ძველებური ბარიერები დაირღვა და ალმოცენდა მოძრაობის ახალი მოდელები. ამის გათვალისწინებით ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხის მიმართ მიდგომები უნდა შეიცვალოს.

– ჩვენ უკეთ უნდა გავიგოთ, თუ რა იწვევს გადაადგილებას, რატომ არ შეუძლიათ, ან არ აქვთ სურვილი, სახელმწიფოებს უზრუნველყონ თავიანთი მოქალაქეების ფიზიკური, მატერიალური ან იურიდიული უსაფრთხოება. მსოფლიო ლტოლვითა ამ დღეს მე მინდა ძედი მოვიხარო მათ წინაშე, ვინც ძალადობრივი დევნა განიცადა და აგრეთვე იმ ჭუმანიტარული მუშაკების მიმართ, ვინც მათ ეხმარება. ლტოლვილები ავლენენ საოცარ სიმამაცეს ცხოვრების თავიდან მოწყობის მიზნით უთანასწორობის დაძლევაში. იმის უზრუნველყოფა, რომ მათ მიიღონ შესაფერისი დაცვა, არის დიდსულოვანი აქტი, რადგან ლტოლვილთა უფლებები ადამიანის უფლებებია, ეს უკანასკნელი კი ყველა ჩვენგანის საკუთრებაა, – აცხადებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: წარდგენილი საბუთების მიხედვით, ბოლოს და ბოლოს, სასამართლომ მცნო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად. კიდევ რა საბუთები უნდა წარვადგინო სოცუზრუნველყოფაში, რომ რეპრესირებულის პენსია მაინც მივიღო?

აბელ მიმინოშვილი

პასუხი: საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულმა პირმა, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების გამო პენსიის დანიშვნის შემთხვევაში სოციალური უშუალიდიების საagენტოს ფილიალს განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინოს პირადობის მოწმობა და სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ.

* * *

კითხვა: მაქვს ორმაგი მოქალაქეობა, ფაქტობრივად ვცხოვრობ საქართველოში. ნ ნოემბერს მისრულდება საპენსიო ასაკი. რა საბუთები უნდა წარვადგინო, რომ პენსია მივიღო?

ლალა ალფენიძე

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა განცხადებას, პირადობის მოწმობას და შრომის სტაჟის საბუთთან ერთად (თუ სტაჟი გააჩნიაძ სოციალური უშუალიდიების საagენტოში უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს არანაირ პენსიას ან სოციალურ დახმარებას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც ითვლება.

* * *

კითხვა: ადრე სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები ნიშნავდნენ პენსიებს, მერე, მგონი, სოციალური დაზღვევის ფონდი. ახლა ვის და სად მივმართო?

თინათინ მულაძე

პასუხი: პენსიის დანიშვნის თაობაზე წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოთ სოციალური უშუალიდიების სააagენტოს ტერიტორიულ ორგანოს, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

* * *

კითხვა: ვარ I ჯგუფის უსინათლო ინვალიდი, მაქვს (სანამ დავბრმავდებოდი) 27 წლის შრომის სტაჟი. რა ოდენობის პენსია მეკუთვნის?

ვაჟა მიქელაძე

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, სამწუხაროდ, სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად, პენსია გეკუთვნით თვეში მხოლოდ 55 ლარის ოდენობით. ინვალიდობის პენსიაზე სტაჟის ხანგრძლივობისთვის დანამატის დარიცხვა, სამწუხაროდ, კანონით გათვალისწინებული არ არის.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.

სს „თავთუხის“ დირექცია აცხადებს, რომ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც გაიმართა 2008 წლის 2 მაისს, მიმდინარეობს საწარმოს ერთეულებად გაყოფა. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის ქ. №2 ტელ: 8(99ქ54-23-20.

სს „თავთუხის“ დირექცია

◎ კახეთის მხარე

ოპოზიციის მხარდამჭერს დაპატიმრებით ემუქრებიან

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთ წევრს გოგიტა დალაქიშვილს, რომელიც საპარლამენტო არჩევნების დროს ფიქრია ჩიხრაძის საარჩევნო შტაბის აქტიური წევრი იყო, დაპატიმრებით ემუქრებიან. როგორც რადიო „ჰერეთს“ გოგიტა დალაქიშვილმა განუცხადა, მან 2 ივნისს მიიღო გაფრთხილება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის რეგიონული სამმართველო მის დაპატიმრებას გეგმავს.

ცნობისათვის: გოგიტა დალაქიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრში მუშაობდა, თუმცა 2007 წლის 1 დეკემბერს ის ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინის“ მოხმარების მიზეზით სამსახურიდან გაათავისუფლეს. როგორც დალაქიშვილი ადგილობრივ ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, „გასული წლის შემოდგომაზე ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენება შანტაჟის გზით ჩამოართვეს, სადაც აიძულეს დაეწერა თითქოს ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი იყო, ამის შემდეგ კი სამსახურიდან ოფიციალურად გაათავისუფლეს“. გოგიტა დალაქიშვილი თხოვნით მიმართავს საქართველოს სახალხო დამცველს სოზარ სუბარს, რომ იხსნას პოლიციისაგან.

გველები მომრავლდნენ — ხალხი პანიკაშია!

ზაფხულის დადგომასთან ერთად დედოფლისწყაროში გველების უჩვეულო მომრავლება შეინიშნება. ხალხი პანიკაშია. ადგილობრივები აცხადებენ, რომ გავშვების გარეთ გაშვებას ერიდებიან.

„იმ დღეს ჩემი შვილიშვილი მამიდასთან, ხორნაბუჯის ქუჩაზე მარტო გავგზავნეთ. გზაზე გველი შეხვედრია და გაფითრებული გაქცეულა... უკან მარტო დაბრუნება ვეღარ გაბედა. ჩემმა მეუღლემ უბანშიც რამდენჯერმე შენიშნა. ზოგიერთი მამაკაცებმა მოკლეს, ზოგმაც მიმალვა მოახერხა. ირგვლივ მცირეწლოვანი გავშვები დარბიან და გვეშინია, ძვეწარმავალმა არ დაკბინონ და რაიმე უბედურება არ დატრიალდეს“, – ამბობენ სამთოელების ქუჩის მცხოვრებნი.

შეშინებული ადგილობრივები დახმარებას ხელისუფლებას სთხოვენ. როგორც ცნობილია, დედოფლისწყაროს რაიონში, გველების სიმრავლით შირაძის ველი ოდითგანვე გამოირჩეოდა. შეგახსენებთ, წელიწადნახევრის წინათ ადგილობრივების ალშფოთება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ შირაძის ტერიტორიაზე, არაბუნებრივად დიდი გველი გამოჩნდა... მის არსებობაზე, კახეთის ადგილობრივ მედიასაშუალებები ადრეც იუწყებოდნენ, თუმცა შესაბამისმა სამსახურებმა, ეს ფაქტი იმთავითვე არასერიოზულად მიიღეს და თვითმხილველი ფერმერები „გიჟებად“ მონათლეს... არადა, ფაქტი ფაქტად რჩება, რაიონის ველ-მინდვრებს არნახულად დიდი, აგრესიული ქვეწარმავლები შეესივნენ...

არასრულწლოვანის გაუპატიურებისთვის 16-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ

რამდენიმე დღის წინათ სიღნაღის პროკურატურის შენობის წინ არასრულწლოვანის გაუპატიურებისთვის ბრალდებულების ნუკრი ნიკვაშვილის, ზურაბ ზედელაშვილის და ზვიად ქოქოლაშვილის ახლობლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათი გაღიზიანება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ მათ 16-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ბრალდებულების ახლობლების განცხადებით, გამოძიება არასწორი მიმართულებით და მიკერძოებით ჩატარდა, რაშიც ისინი სიღნაღის რაიონის პროკურორს ნუგზარ ლაზარიაშვილს ადანაშაულებენ. როგორც ბრალდებულების მშობლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, „მთავარი დამნაშავეებით ლია მინდიაშვილით და დავით აბულაშვილით, რომლებიც დაზარალებულმა პირველ ჩვენებაში დაადანაშაულა, გამოძიება შეგნებულად აღარ დაინტერესდა.

ნუკრი ნიკვაშვილის მეულლე ეკა კუტიბაშვილი კი აცხადებს, რომ დაზარალებულის ოჯახს ფინანსური ინტერესი ამოძრავებდა და ჩვენებაც ამიტომ შეცვალა. საქმე ეხება სიღნაღში 2007 წლის აგვისტოში არასრულწლოვანის გაუპატიურების ფაქტს. ბრალდებულთა ოჯახები განაჩენს ჯერ საოლქოში, შემდეგ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებენ.

თელავში 24 წლის ბიჭი მოკლეს

24 წლის თელაველი გოგა გოლძვაძე ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ზაზა მეზვრიშვილმა გულმკერდის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაზარალებული სასწრაფო დახმარების შემთხვევის ადგილზე მისვლამდე გარდაიცვალა. დაჭრილი გოგა გოლძვაძე საპატრულო პოლიციამ ალაზნის გამზირის მიმდებარე, დაუსახლებელ ტერიტორიაზე აღმოაჩინა. ეჭვმიტანილი ზაზა მეზვრიშვილი უკვე დაკავებულია. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ძიებას შინაგან საქმეთა კახეთის სამმართველო აწარმოებს.

საგულისხმოა, რომ რეგიონში ბოლო თვეების განმავლობაში კრიმინოგენური ვითარება ძალზე საგანგაშოა. ახალგაზრდების საზარელი მკვლელობები კახეთის ყველა რაიონში თითქმის ყოველკვირეულად ხდება...

ილია მარტყოფლიშვილი

ყაჩაღობა დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში რამდენიმე დღის წინათ საზარელი ყაჩაღობა მოხდა. ნილგიანი და შეიარაღებული ბორტმოძმედები თავს დაესხნენ ბაადურ მაძღარაშვილის ოჯახს და ფული მოსთხოვეს. მათ ცხელი უთოთი საშინლად აწვამეს ოჯახის წევრი მამაკაცები, ხოლო ქალები (მათ შორის ერთ-ერთი ორსულიძ გათოკეს. თავდამსხმელებმა 15 ათასამდე ლარი და ძვირფასეულობა გაიტაცეს.

მომხდარზე კომენტარს არ აკეთებს ადგილობრივი პოლიცია. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, დამნაშავეთა ვინაობა დადგენილია. ისინი იძებნებიან.

როგორც არბოშიკელი მოსახლეობა ამბობს, სოფელში მსგავსი შემთხვევა არასოდეს არ მომხდარა.

ნანა ჭიჭინაძე,
ჩვენი კორ.

◎ თანაგრძნობა

გულწრფელად ნათქვამი სამძიმარი

საქართველომ სულ რაღაც თხუთმეტი წლის წინათ აღიდგინა დამოუკიდებლობა. სწორედ ამ პერიოდიდან გამოჩნდნენ ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს დიპლომატიური მისიები – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები.

დიპლომატებს თანვანთი მისია აკისრიათ. მათ საქართველოს არც სიყვარული ევალებათ და არც – სიძულვილი, მაგრამ არც ის ეკრძალებათ, ჰქონდეთ ამ ქვეყნის, ამ ხალხის, ამ კულტურის მიმართ ემოციური და სუბიექტური დამოკიდებულება.

საქართველოში მოლვაწეობს ღირსეული პიროვნება, პროფესიონალი დიპლომატი – რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ვიაჩესლავ კოვალენკო,** ვისაც უყვარს მართლმადიდებელი ქართველი ერი, ქართული კულტურა, ლიტერატურა, მუსიკა, ფოლკლორი. ვინც პატივს მიაგებს ქართულ სულიერებას.

ვიაჩესლავ კოვალენკოს მოსკოვში გარდაეცვალა დ.

საქართველო-რუსეთის მეგობრობის ცენტრი, საქართველოს იმ მოქალაქეების სახელით, ვისთვისაც ძვირფასია ქართულ-რუსული ურთიერთობები, ვისთვისაც ახლობელი და შეუცვლელია უზარმაზარი რუსული კულტურა და სულიერება, ვისთვისაც უალტერნატივოა საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობა, სამძიმარს უცხადებს ჩვენი ქვეყნის მეგობარს ვიაჩესლავ კოვალენკოს დის – **ნინა ევგენის ასულ კოვალენკოს** გარდაცვალების გამო.

საქართველო-რუსეთის მეგობრობის ცენტრის სახელით,
ვალერი კვარაცხელია



შვილები ნანა, თემურ გაბუნაშვილები, შვილიშვილები ზურაბ, გურანდა მაჩაიძეები, გიორგი, ანა გაბუნაშვილები, რძლები მარინა, ნატაშა, სიძეები კობა, კოკო, ვაჟა, ავთანდილ, ცოლისდა რუსუდან ჯავახიშვილი, ძმისწულები გია, ზურაბ გაბუნაშვილები, დისწულები ლია კაპანაძე, ავთანდილი, ტარიელ, ამირან, სპარტაკ გერიძეები, გიძაშვილი ომარ ამირანაშვილი, მძახლები თინა, ეთერი, თენგიზი, დავითი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მალხაზ გაბუნაშვილი

პანაშვიდი 19, 20 VI, 16 სთ. დაკრძალვა 21 VI, 15 სთ. მისამართი: პეტრე გაგრატიონის ქ. 16 (სვანეთის უბანი).

უახლოესი მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თეიმურაზ გაბუნაშვილს და მის ოჯახს ძვირფასი მამის, უკეთილშობილესი პიროვნების

მალხაზ გაბუნაშვილის

გარდაცვალების გამო.

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი მ/თანამშრომელს ნუგზარ (ნუკრიძ ალხაზაშვილს უცხადებს სამძიმარს შვილის

დაჩი ალხაზაშვილის

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თანაუგრძნობს აკადემიის თანამშრომელს ელიკო ჩიძვანაიას ძმის

გიორგი ჩიძვანაიას

გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა 21 VI, მარტვილის რაიონი, სოფელი ვედიდკარი.

სს „თბილმრეწვმშენი 3“-ის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ოთარ ათანელიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

35 700 პირუტყვი აიცრა

გორის მუნიციპალიტეტში უფასო ვაქცინაციის პროგრამა დასასრულს უახლოვდება. განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე თურძულზე, ცოფსა და ჯილეხზე გეგმის მიხედვით 35 700 მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი აიცრა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 16 200 ლარი გაიხარჯა.

ამჟამად ადგილობრივი ვეტერინარები სოფელ ხურვალეთში მუშაობენ, სადაც მიმდინარე წლის 6 ივნისს ცოფით დაავადებული ადამიანი გამოვლინდა. ხურვალეთში მცხოვრები 53 წლის ვლადიმერ ხუროშვილი მაწანწალა ძაღლმა 2008 წლის თებერვალში დაკბინა. ავადმყოფს ცოფის სიმპტომები 4 ივნისს გამოუვლინდა და 7 ივნისს გარდაიცვალა.

ამ შემთხვევის გამო გორის რაიონში დამატებითი აცრების ჩატარება გახდა საჭირო. ვეტერინარიის დეპარტამენტმა დამატებით ცოფის ვაქცინის 900 დოზა გამოყო, რომელსაც ვეტერინარები ხურვალეთსა და მიმდებარე სოფლებში – ნადარბაზევში, გორნევში, ნაწრეტში, შავშვებსა და წითელუბანში არსებული ძაღლებისა და კატების ასაცრელად გამოიყენებენ.

გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მონაცემებით, წლის დასაწყისიდან დღემდე დაკბენის 898 შემთხვევა გამოვლინდა, მათ შორის მაწანწალა ძაღლის მიერ დაკბენილია 111 ადამიანი. ადამიანების ცოფით დაავადებისა და გარდაცვალების ფაქტი ამ დრომდე არ დაფიქსირებულა.

მაწანწალა ძაღლების მიერ დაზარალებულ პირთა სანაგებაშო სტატისტიკის გამო გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ჯერ კიდევ აპრილში დაიწყო და წლის ბოლომდე გააგრძელებს ძაღლების გაუვნებელყოფის ღონისძიებებს. ძაღლაძის დასუფთავების სამსახურის მიერ დღემდე 200-მდე უპატრონო ძაღლია ლიკვიდირებული.

ისტორიულ ძეგლებს დაასუფთავებენ

მანავში იმყოფება სტუდენტთა რაზმი, რომელიც სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტები არიან. ისინი შეასრულებენ არქეოლოგიურ სამუშაოებს, დაასუფთავებენ ციხის მიმდებარე ტერიტორიას და გაეცნობიან იქ არსებული ძეგლების ისტორიულ მნიშვნელობას.

სტუდენტები ძეგლების დასუფთავების სამუშაოებში სტუ-ში არსებული კლუბის „ტაძარი“ მეშვეობით გაემგზავრნენ. კლუბი ასეთ ღონისძიებებს მომავალშიც გეგმავს. „ტაძარის“ ხელმძღვანელის ლაშა ფარულავას განცხადებით, მომავალში ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები ხერთვისის, პეტრას ციხის, ყაზბეგების და გეგრის ციხის მიმართულებით გაემგზავრებიან.

მიწისძვრას ნგრევა და ზარალი არ გამოუწვევია

საქართველოში გუშინ მომხდარ მიწისძვრას ნგრევა და ზარალი არ გამოუწვევია.

როგორც სეისმური მონიტორინგის ცენტრის დირექტორმა ზურაბ ჯავახიშვილმა განაცხადა, დმანისიდან 10-15 კილომეტრში 12.55 საათზე 3,6-ბალიანი, ხოლო 15.04 საათზე 4-ბალიანი ბიძგები დაფიქსირდა.

ჯავახიშვილის ინფორმაციით, მიწისძვრების ეპიცენტრი თბილისიდან 60 კილომეტრში აღინიშნა.

3-ბალიანი ბიძგები თბილისშიც იგრძნობოდა.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

◎ ᲖᲔᲘᲛᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ

17 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲤᲝᲘᲔᲔᲑᲨᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ.

ᲔᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲓ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲮᲝᲚᲝ ᲗᲡᲣ ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔᲓ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲓᲐ ᲛᲐᲡ (ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ, ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔᲓ – ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ – ᲗᲡᲣ-ᲨᲘ, ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲙᲘ ᲐᲛ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲡ ᲗᲐᲛᲐᲠᲐᲨᲘᲜᲛᲐ ᲣᲛᲐᲡᲮᲘᲜᲫᲚᲐᲫ.

ᲘᲓᲔᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲢᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐ“ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲡᲣ-Ს ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲡ“ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘ: ᲬᲣᲒᲖᲐᲠ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ, ᲘᲣᲚᲝᲜ ᲒᲐᲒᲝᲨᲘᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲩᲣᲮᲣᲐ, ᲜᲐᲗᲣᲜᲐ ᲝᲩᲘᲐᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲮᲕ.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲘᲣᲚᲝᲜ ᲒᲐᲒᲝᲨᲘᲫᲔ.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ, ᲬᲣᲒᲖᲐᲠ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ. ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲮᲚᲔᲩᲘᲚᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲛ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲐᲫ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ, ᲮᲛᲐ ᲐᲠ ᲐᲯᲝᲒᲔᲑᲓᲐ, ᲞᲝᲔᲛᲐᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲯᲘᲜᲝᲠᲘᲐ, ᲖᲣᲠᲐ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲔᲜᲔᲛ, ᲜᲘᲜᲝ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲕᲘᲜᲛᲔᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ, ᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘᲐᲡ.

ᲗᲔᲐ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ, ᲛᲐᲘᲐ ᲟᲣᲠᲐᲡᲑᲔᲓᲘᲐᲜᲘ

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲪᲔᲛᲡ

ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ. ᲐᲮᲚᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲔᲮᲘᲓᲐ „ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲡᲐᲙᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ.

ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲡᲐᲙᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ“ ᲬᲘᲜᲐ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲝᲠᲘ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲝ.

ᲮᲘ-ᲔᲘᲬ-ᲔᲜᲜ

ᲡᲐᲛ ᲓᲐ ᲝᲗᲮᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲢᲣᲠᲔᲑᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ

ᲢᲐᲝ-ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲘ: ᲝᲨᲙᲘ, ᲮᲐᲮᲣᲚᲘ, ᲘᲨᲮᲐᲜᲘ, ᲑᲐᲜᲐ, ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲘ, ᲢᲑᲔᲗᲘ.

ᲔᲠᲖᲔᲠᲣᲛᲘ: ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲘ, ᲪᲘᲮᲔ-ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔ, ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐ.

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ: 200-250$

„ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲘ“, ᲐᲚ. ᲓᲘᲣᲛᲐᲡ Ქ. №5. ᲢᲔᲚ: 92-31-32, 92-34-32.

www.megzuri.com.ge

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ!

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲗᲐᲕᲡᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗ ᲘᲛᲔᲘᲚᲘᲡ ᲐᲜ ᲤᲐᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ. ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐᲒᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲐᲬᲝᲓᲔᲑᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲡ.

ᲘᲛᲔᲘᲚᲘ: sakresp@ayety.ge

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 98-65-87 (89932.85.76ძ.

ᲤᲐᲥᲡᲘ: 98-65-87.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ!

5-ᲝᲗᲐᲮᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲜᲐ, ᲒᲔᲚᲔᲢᲐᲤᲭᲖᲔ, ᲓᲘᲓᲘ ᲐᲘᲕᲜᲘᲗ (ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘ 200 ᲙᲕ.Მ.Ძ. ᲕᲐᲙᲔ. ᲐᲢᲔᲜᲘᲡ Ქ.№3. ᲢᲔᲚ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92. ᲤᲐᲡᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ

ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ“

98-65-87; 899 32-85-76.

ᲫᲘᲠᲐᲕᲓᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲘ – 100 ᲙᲕ. Მ. ᲜᲐᲕᲗᲚᲣᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ. ᲐᲛᲯᲐᲛᲐᲓ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲫᲔ. ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ: 70.70.95 (ᲓᲦᲘᲡᲘᲗ, 20 ᲡᲗ-ᲛᲓᲔ, 91-24-91 (ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ, – 899-37.00.35; ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ.

◎ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

– ᲔᲥᲘᲛᲝ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲚᲣᲓᲘᲡ ᲓᲐᲚᲔᲕᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ?

– ᲠᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲗ, ᲩᲔᲛᲝ ᲙᲐᲠᲒᲝ, ᲠᲐ ᲚᲣᲓᲘ?!

– ᲐᲠᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ?

– ᲠᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲗ, ᲩᲔᲛᲝ ᲙᲐᲠᲒᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ?!

* * *

– ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲥᲐᲚᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ? – ᲠᲔᲙᲐᲕᲡ ᲒᲝᲒᲝ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ.

– ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ.

– ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲐ ᲡᲢᲐᲓᲘᲐᲖᲔ ᲐᲫᲕᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ?

* * *

ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ: ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲘᲖᲐᲠᲛᲐᲪᲔ ᲓᲐ ᲣᲤᲣᲚᲝᲑᲐ.

* * *

ᲖᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲘᲐᲢᲠᲘ ᲪᲐᲠᲘᲔᲚ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ:

– ᲛᲐᲨ ᲐᲡᲔ, ᲩᲔᲛᲝ ᲙᲐᲠᲒᲝ, ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ, ᲠᲐ ᲓᲠᲝᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲐᲥᲕᲗ ᲔᲡ ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ?

◎ ᲙᲐᲓᲠᲘ

საპარლამენტო რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ Ქ. № 12.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲡᲗ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ“ (ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ 150. ᲢᲔᲚ: 899 79-76-79)
ᲨᲡᲗ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ
ᲐᲘᲑᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲑᲐᲓᲝᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲨᲘ“. 95-11-92
ᲘᲜᲔᲭᲓᲔᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“ (ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲩᲘᲮᲘ, № 20)

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
98-65-87; 899 56-81-86

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 899 53-76-16;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ 899 17-21-21;
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲒᲣᲚᲘᲐ 899 36-00-35
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ 899 74-90- 07

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲝᲚᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ.